31 მაისი, 1930 წ.

წელიწადი მეორე

ფასი 15 კაპ.

# № 10 (34) დროშა



სოფლის მეურნეობის სასტიკი გამანადგურებელი კალია.

# ბარიკადებზე ბრძოლა ინდოეთში



განდის მიმდევრები, რომლებმაც მარილის მონოპოლიის დარღვევის ირგვლივ ხალხი აამოძრავეს.



-ჯანყებულმა ინდოელებმა „ახალ კანონის" წინააღმდეგ კალკუტის ქუჩებში ბარიკადები ააშენეს, სადაც პოლიციელებთან შეტაკება მოუხდათ და მრავალი ინდოელი მოკლეს



პოლიციელები ბარიკადებს ანგრევენ



მარცხნით აჯანყებულთაგან მინგრეული ქუჩა შუაში ბარიკადად გამოყენებული ეტლები



ბომბეის პოლიციელი

უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში იმპერიალისტების ცარცვა-გლეჯამ ინდოეთში იმდენად აუტანელი ხასიათი მიიღო, რომ მშრომელმა ფართო მასსამ ველარ გაუძლო და ხელში იარაღით ბარიკადებზე საბრძოლველად გამოვიდა.

მაკდონალდის რეჟიმის მოხელეები სასტიკად სდევნიან ინდოეთის ინტელიგენციას და მოზარდ სტუდენტობას. ციხეები სავსეა ინდოელ რევოლიუციონერებით.

აჯანყებამ სოფლის გლეხობაც ჩაითრია და ინდოელების ოთხმოცდა ათი პროცენტი ინგლისის ბურჟუაზიის წინააღმდეგ იბრძვის.

ეს მოძრაობა განდის პროტესტის სახით დაიწყო მარილზე მონოპოლიის წინააღმდეგ, მაგრამ მშრომელი მასსის გავლენით გართულდა და ხელჩართულ ბრძოლად გადაიქცა.

ამჟამად ინდოეთში საყოველთაო აჯანყებაა და ქუჩებში მუშების შეტაკება ხდება იარაღით ხელში პოლიციელების და ინგლისისაგან დაქირავებულ ჯარის წინააღმდეგ. ხალხმა პოლიციელები და ინგლისის წარმომადგენლები ჩააქვავა, ცეცხლი წაუკიდა მათ ბინებს.

ინგლისის „მუშათა მთავრობა" მაკდონალდის მეთაურობით ცეცხლით და მახვილით იცავს იმპერიალისტურ ბურჟუაზიას. მრავალი ინდოელი დაიხვრიტა, მრავალს იჭერენ და ციხეებში აგზავნიან.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# დროშა



ნახატი ირ. თოიძის

დამკვრელი მუშა დაზგაზე

# ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲐᲩᲠᲓᲘᲚᲘ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲖᲔ

რევოლიუციონური მოძრაობა ინდოეთში გიგანტური ნაბიჯებით ვითარდება. ინდოეთის რევოლიუციის ლოკომოტივი უკვე დაიძრა. ინგლისის ბატონობის ციხე-სიმაგრე ინდოეთში გაიბზარა ისე, რომ საეჭვოა დიდი ხნით მისი აღდგენა. „ბრიტანეთის გვირგვინის ბრილიანტი" — ინგლისის მსოფლიო ეკონომიური და სამხედრო ბატონობის ფუძე, რომელიც ასი წლის განმავლობაში მაგრად ეჭირა ბრჭყალებში ინგლისის ლომს, აგერ-აგერ გასხლტება მის ბრჭყალებიდან.

ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობის სადავე ბურჟუაზიის ხელიდან თანდათანობით გადადის მშრომელი მასების ხელში. მშრომელი მასები კი ნათლად ხედავენ, რომ ბურჟუა და მემამულე, რომელიც ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ ილაშქრებს და ამ ბრძოლაში მზად არის მშრომელი მასები გამოიყენოს, ძარცვავს მათ, როგორც მუშებს, ისე გლეხებს, უარს ეუბნება ადამიანური ცხოვრებისათვის საჭირო ელემენტარული პირობების შექმნაზე, ამუშავებს თავის ქარხნებში 12-16 საათს, აძლევს მათხოვრულ ხელფასს, ტყავს აძრობს საიჯარო გადასახადით მიწაზე და სხვ. ინდოელი მუშისა და გლეხისათვის ნათელი ხდება, რომ ინდოელი კაპიტალისტი და მემამულე არა ნაკლები მტერია მისი, ვიდრე ინგლისელი პოლიციელი ან მოხელე. მოძრაობის სათავეში ჯერ კიდევ არიან დარჩენილი განდის ზოგიერთი მომხრეები, ისინი ყოველი საშუალებებით ცდილობენ ხელიდან არ გაუშვან მოძრაობის ხელმძღვანელობა. ამისათვის ისინი წინააღმდეგ თავისი ბუნებისა და სურვილისა „რევოლიუციონური" ფრაზებითაც კი გამოდიან, მაგრამ მოძრაობაში მოსული მშრომელი მასები თანდათანობით ჩრდილავენ მათ, მიმართავენ ისეთ ტაქტიკას და ბრძოლის ისეთ მეთოდებს, როგორსაც მათ კლასობრივი ინსტინქტი უკარნახებს.

* * *

ინდოეთის რევოლიუციის ახლანდელი ეტაპი მომზადებულია მუშათა და გლეხთა მოძრაობის განვითარების მთელი წინა პერიოდით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მუშათა მოძრაობის არაჩვეულებრივი ზრდა, ზრდა რიცხობრივადაც და ხარისხობრივადაც.

საკმაოა აღინიშნოს მიმდინარე წლის დიდი კლასობრივი ბრძოლები ინდოეთში — ბომბეის ფეიქართა გმირული ბრძოლა, ინდოეთის ნახევარ-კუნძულის რკინიგზელების გაფიცვა, ბარიკადები კალკუტაში და სხვ., რომ ნათელი შეიქნეს ინდოეთის მუშათა მოძრაობის მნიშვნელოვანი მიღწევები.

იღვიძებს ინდოეთის გლეხობაც. მიწების უდიდესი და საუკეთესო ნაწილი მემამულეთა ხელშია. გლეხსა და მემამულეს შორის შუამავლად გამოდის ხროვა მოიჯარადრეების, რომლებიც სპეკულიაციას ეწევიან მიწებით, რის გამო საიჯარო გადასახადი მეტად დიდია. მიუხედავად იმისა, რომ გლეხის შემოსავალი მეტად მცირეა, მან კისერზე უნდა იწვევს შესანახავად მთელი ხროვა მექრთამეობის დაწყებული სოფლის მამასახლისით და გათავებული ინგლისის მეფის ნაცვლით ინდოეთში.

ინგლისის იმპერიალიზმი ახერხებს არა მარტო ინდოეთში მის ბატონობასთან დაკავშირებული ხარჯების მთლიანად დაფარვას (მარტო სამხედრო ხარჯები 60 პროც.-დი აღწევენ ინდოეთის ბიუჯეტში), არამედ წმინდა შემოსავალსაც კი იღებს ამ თავის კოლონიიდან.

ინდოეთის მშრომელებს ინგლისის იმპერიალიზმი ორმაგად ყვლეფს: როგორც მომხმარებლებს და როგორც ნედლეულის მწარმოებლებს. ინდოეთი ინგლისის მრეწველობისათვის წარმოადგენს უზარმაზარ ბაზარს, რომელზედაც მოდის ინგლისის ექსპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი. ინგლისის კაპიტალისტებს ჩალის ფასად გააქვთ ინდოეთიდან მათი ქარხნებისათვის საჭირო ნედლეული.

ინდოეთის გლეხი, მის კისერზე დაწოლილი აუარებელი ვალდებულებებს რომ თავი დააღწიოს, იძულებულია ისესხოს ფული, რასაკვირველია სოფლის ჩარჩებისაგან, კულაკებისაგან.

სისტემა „დხუს-კი-ბხარა" (რაც ნიშნავს „თორმეტს ათში" ესე იგი ერთი კვირის ვადით ნასესხებ ათ რუპიაში თორმეტი რუპიის გადახდას), რომელიც დაკანონებულია ინგლის-ინდოეთის მთავრობის მიერ, მშრომელ გლეხს სოფლის ჩარჩებისა და კულაკების ნამდვილ მონად ხდის. ამას დაუმატოთ კიდევ, რომ მთელი რიგი პირველ მოთხოვნილების საგნები, მაგალითად მარილი (რომლის მოპოვება ინგლის-ინდოეთის მთავრობის მონოპოლიას შეადგენს) მიუწვდომელია ფართო მშრომელი მასებისათვის და ინდოეთის გლეხის აუტანელი მდგომარეობა სავსებით ნათელი იქნება.

უკანასკნელი წლების განმავლობაში გადაგვარებული ინდოეთის გლეხობა ამოძრავდა. სტიქიური მღელვარებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სხვადასხვა პროვინციებში, ორგანიზაციულ ხასიათს იღებენ. გლეხობას ეძრევა მუშათა კლასთან დაკავშირების სურვილი. გლეხობაში რევოლიუციონურ განწყობილების ზრდა გამოიხატა აგრეთვე იმაში, რომ სათემო თვითმართველობის ორგანოებში, რომლებშიც ამდენხანს განუყოფლად ბატონობდნენ მემამულეები და კულაკები, გლეხები უკვე თავის წარმომადგენლებს ირჩევენ.

გლეხთა მოძრაობით დაშინებულმა ინგლის-ინდოეთის მთავრობამ განიზრახა მიწის საკითხის „მოწესრიგება", მაგრამ ამ ცდიდან არაფერი გამოვიდა და არც შეიძლება გამოსულიყო, რადგან ინგლისის იმპერიალიზმი, რასაკვირველია, ვერ შებღალავს ინტერესებს ინდოეთის მემამულეებისას, რომლებიც ინდოეთში მისი ბატონობის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენენ.




ბომბეის ბარიკადებზე.

ექსპრომტი შ. თოიძის

* * *

ინგლისის იმპერიალიზმი შეეცადა განდიზმისათვის მოქმედების თავისუფლების მინიჭებით თავიდან აეცილებინა რევოლიუციის ტალღის აგორება ინდოეთში.

რა არის განდიზმი? ჩვენ არ შევუდგებით აქ მის რელიგიურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საფუძვლების გარჩევას. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ რევოლიუციის ინტერესების თვალსაზრისით განდიზმი არის რეაქციონური მოვლენა, რომელიც ხელფეხს უბორკავდა ინდოეთის რევოლიუციას, რომელიც „მოთმენისა და პასიური წინააღმდეგობის" ქადაგებით ინგლისის იმპერიალიზმს უადვილებდა ბატონობას ინდოეთში. მაგრამ განდი რეაქციონერია არა მარტო რევოლიუციის თვალსაზრისით, იგი რეაქციონერია საწარმოო ძალთა განვითარების თვალსაზრისითაც. იგი უარყოფს ევროპიულ სწავლა-განათლებას, უარყოფს ფაბრიკა-ქარხნებს, ტელეგრაფს, ტექნიკას. იგი მოუწოდებს ინდოეთს ეკონომიური განვითარების ჩარხის უკან მობრუნებისაკენაც, შინაური ჩართავებით სარგებლობისაკენ ბომბეის ან მანჩესტერის ქარხნებში დამზადებული ქსოვილების ნაცვლად.

აშკარაა, რომ ბურჟუაზიის იმ ნაწილისათვისაც კი, რომელიც განდის უჭერს მხარს, უცხო და მიუღებელია ინგლისის უღელისაგან განთავისუფლებული ინდოეთის პოლიტიკურ-ეკონომიური პროგრამა, რომელსაც განდიზმი ქადაგობს. ინდოეთის ბურჟუაზია იყენებს განდის გავლენას მოსახლეობაში, რომ ამ გზით თავისი საქმე აკეთოს.

* * *

ინგლისის იმპერიალიზმმა მშვენივრად იცოდა, რომ თვით განდიზმი თავისი „პასიური წინააღმდეგობით" და მისტიურ-ნაციონალისტური ფრაზების კორიანტელით მისთვის საშიში არ არის, რომ ინგლისის ბატონობა არ შეირყევა, თუ განდი შინაურ ხართავებში გახვეულ 100-150 მოხალისესთან ერთად რამოდენიმე მისხალ მარილს აიღებს მარილის საწყობებზე. რა საფრთხეს წარმოადგენენ უიარაღო „პასიური წინააღმდეგობის" მქადაგებლები კბილებამდე შეიარაღებულ იმპერიალიზმისათვის! მით უფრო, რომ განდის არა ნაკლებ ეშინია რევოლუციონური მასების, ვიდრე ინგლისის იმპერიალიზმს. უკანასკნელმა მშვენივრად იცოდა, რომ რევოლუციონურ მუშების და გლეხების წინააღმდეგ განდიზმი მის მხარეზე იქნება.

ტყუილად კი არ განაცხადა განდიმ: **„მე ვიცი, რომ ჩემგვარი რევოლუციონერები მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენენ ბრძოლის მეთოდების მქადაგებელი რევოლუციონერების გზაზე. მე მინდა მივაღწიო ამგვარი ტიპის რევოლუციონერების მოქმედების სრულ აღკვეთას. მე აშკარად ვაცხადებ, რომ ასეთი რევოლუციონერების უფრო მეშინია, ვიდრე ლორდ ირვინის *) რისხვის".**

ამ ფრაზაში მთელი სიცხადით მოსჩანს განდიზმის მთელი რეაქციონური ბუნება.

* * *

მაგრამ ინგლისის იმპერიალიზმი მწარედ მოტყუვდა ანგარიშში. განდის მიერ დაწყებულმა მოძრაობამ ითამაშა როლი ნაპერწკლის, რომელმაც ცეცხლი წაუკიდა დიდი ხნის უკმაყოფილობაში დაგროვილ უამრავ საწვავ მასალას. რევოლუციის ალი ავარდა და შთანთქვით ემუქრება ინგლისის იმპერიალიზმს და განდიზმსაც. მშრომელი მასები ამოძრავდნენ და უკან სტოვებენ თავის ყოფილ ბელადებს, რომლებსაც ახლა არ სურთ (და არ ძალუძთ) თავისი კლასობრივი მეგობრობის, გამო რევოლუციონური მასების ხელმძღვანელობა და თავისი გავლენის უკანასკნელი ნაშთების შესანარჩუნებლად ინგლისელ პოლიციელებს ემუდარებიან დაპატიმრონ ისინი. ინგლისის იმპერიალიზმიც ასრულებს მათ მუდარას: აგზავნის „ციხეში", სადაც კომფორტში და ფუფუნებაში ჰყავს ყველა ეს განდი, პატელი, ნერუ და ს. შ. „რევოლუციონერები" იმ დროს, როცა ინდოეთის რევოლუციისათვის ნამდვილი მებრძოლები იღუპებიან შოლაპურის, ჩიტაგონგის და სხ. ქალაქების ბარიკადებზე.

განდიზმის მეპაიროტრეებმა ციხეებს შეაფარეს თავი.

რევოლუციონური მასები კი გმირულად იბრძვიან ინგლისის იმპერიალიზმისა და თავის ქვეყნის ბურჟუაზიისა და მემამულეების წინააღმდეგ.

* * *

სურათი არ იქნებოდა სრული, რომ არაფერი გვეთქვა მეორე ინტერნაციონალის დამოკიდებულებაზე ინდოეთის რევოლუციისადმი.

აშკარაა როგორი იქნება მეორე ინტერნაციონალის პოზიცია. რა უნდა ურჩიოს ინდოეთის მშრომელ მასებს ორგანიზაციამ, რომლის ადმასკომში სხედან ამხანაგები მაკდონალდის, რომელიც ყოველდღე ჯარის ახალ ნაწილებსა და ტანკებით და ზარბაზნებით დატვირთულ გემებს გზავნის ინდოეთის რევოლუციის სისხლში ჩასახრჩობად? რასაკვირველია იგი არ ურჩევს ბრძოლის მედგრად გაგრძელებას, ინგლისის იმპერიალიზმის ბატონობის დამხობას. მან, მეორე ინტერნაციონალმა, თავის რეზოლუციაში ურჩია ინდოეთის მუშებს და გლეხებს დაჰყარონ ფარხმალი და თავისი ქვეყნის კაპიტალისტებთან და მემამულეებთან ერთად საერთო ენა გამონახონ ინგლისის „მუშათა" მთავრობასთან, რომელიც ტანკებით ელაპარაკება მას.

თავის თავად ცხადია, რომ ამ ფარისევლური რეზოლუციის მიზანია მხოლოდ ბურჟუაზიის გამაგრება ინგლისის იმპერიალიზმისათვის.

* * *

გერმანულ გაზ. „ბერლინერ ტაგებლატ"-ის კორესპონდენტმა **კლეტცელმა**, რომელიც კარგად იცნობს აღმოსავლეთის ქვეყნების ვითარებას, ამ რამდენიმე ხნის წინად გამოუშვა წიგნი ინდოეთის შესახებ, რომელშიც ბურჟუაზიულ ჟურნალისტისათვის უცხო ობიექტიურობით აანალიზებს უკანასკნელ მოვლენათა განვითარებას ინდოეთში და მიდის იმ დასკვნამდე, რომ **ინდოეთის „პოლიტიკური და სოციალური პირობები მშვენიერ ნიადაგს წარმოადგენენ კომუნისტური პროპაგანდისათვის".**

**კლეტცელი განსაკუთრებით უსვამს ხაზს საბჭოთა კავშირისადმი სიმპატიების ზრდას ინდოეთის ახალ თაობაში.**

კლეტცელი აღნიშნავს *), რომ ინდოეთის მუშათა მოძრაობა გადაჭრით სწყვეტს კავშირს ბურჟუაზიულ განმათავისუფლებელ მოძრაობასთან.

კლეტცელს მოჰყავს შემდეგი ფრაზა მის მიერ „ბერლინერ ტაგებლატ"-ში რამდენიმე თვის წინად მოთავსებულ ერთ-ერთი წერილიდან:

„პოლიტიკურად ინდოეთი ჯერ კიდევ განაგრძობს ცხოვრებას განდის მოძღვრების, რბილ სინათლეში, **მაგრამ ლანდი, რომელიც მის კონტრასტს ქმნის, უკვე გარკვევით იღებს ლენინის ფიგურის „კონტურებს", ამ აჩრდილმა უკანასკნელ თვეებში გიგანტური ზომა მიიღო".**

ბურჟუაზიულმა ჟურნალისტმა შესძლო იმის დანახვა, რაც არ სურთ დაინახონ ბრმებმა მეორე ინტერნაციონალიდან. ლენინის აჩრდილი, კომუნიზმი, მძლავრად იჭრება კოლონიების და ნახევრად კოლონიების მშრომელ მასებში და რაზმავს მათ გიგანტური ბრძოლისათვის მსოფლიო იმპერიალიზმთან. ამ ბრძოლის ერთ-ერთი ფრონტია ინდოეთის რევოლუცია.

**ე. ჭულაძე**

*) ინგლისის მეფის ნაცვალი ინდოეთში.

*) საგულისხმოა რომ კლეტცელის წიგნი დაწერილია ნახევარი წლის წინ.

# წითელი არმია ბანაკად







მიმდინარე წლის 1-ლ მაისიდან ზემო-ავჭალის ბანაკში დაიწყო 1907 წელში დაბადებულ ცვალებადი წითელარმიელთა სამთვიანი სამოსწავლო შეკრება. აქ, ბანაკად, თავი მოიყარა რამოდენიმე ათასმა ახალგაზრდამ, რათა შეისწავლონ სამხედრო საქმე, იარაღის ხმარება, რომ საჭირო დროს შესძლონ გაუმკლავდნენ მათ, ვინც მოისურვებს დაარღვიოს საბჭოთა კავშირის მშრომელთა მშვიდობიანი შრომა და აღმშენებლობა.

ავჭალის ბანაკი, აგებული და მოწყობილი საქართველოს მშრომელთა მიერ, კოპწიად გამოიყურება კავკასიონის მთების შორის. ბანაკი ახალია, მაგრამ მზრუნველმა ხელმა შესძლო მისი საუკეთესოდ მოწყობა. თვით წითელარმიელებიც სიყვარულით უვლიან თავის საზაფხულო ქალაქს, ალამაზებენ, ამშვენიერებენ.

წითელარმიელებმა ბანაკათ უნდა დაჰყონ 1-ლ აგვისტომდე. ეს დრო ძალიან მცირეა იმისათვის, რომ მათ შესძლონ სამხედრო ხელოვნების საფუძვლიანად შესწავლა. ამიტომ წითელარმიელის დღე დატვირთულია. დილიდან საღამომდე განუწყვეტლივ მიმდინარეობს სამხედრო მეცადინეობა მინდვრათ.

ახალგაზრდა არმიელები, ეცნობიან წითელი არმიის ტაქტიკას, სროლის საქმეს, წითელი არმიის ახალ მიღწევებს. მთელი მინდორი ბანაკის ახლო და გორაკები მოფენილია არმიელებით: აქ არიან არტილერისტები, საკავშირიოელები, მესანგრენი. მთელი დღე მიმდინარეობს გაცხოველებული საქმიანობა. არც ერთი წუთი არ იკარგება ტყუილ-უბრალოდ.

მეცადინეობის დროის ფართოდ არის გამოყენებული სოციალისტური შეჯიბრების და დაკვრულობის მეთოდი. ამ მძლავრი იარაღით აღჭურვილნი მედგრად მიდიან წინ, ახალი გამარჯვებისაკენ.

სადილის შემდეგ ბანაკად იწყება სკოლის გარეშე მუშაობა: კლუბი და სამკითხველოები ფართოდ შლიან თავიანთ მუშაობას. არმიელები სკოლის გარეშე მუშაობით იძენენ კულტურულ ცოდნას, ემზადებიან სამუშაოდ სოფლისათვის, ეცნობიან კოლმეურნეობის საფუძვლებს, რათა სახლში დაბრუნებისას შეიტანონ სოფლად ახალი ცხოვრების სინათლე.

**ლი.**

## ეს-საბიბ-ვაფა*)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქუჩის მომღერალი

საღამოს სიწყნარეში გაისმოდა ქუჩის მომღერალის ნაღვლიანი სიმღერა. მის გარშემო ქუჩის ბიჭები შეკრებილიყვნენ და სიცილ-ხარხარით მასზე თითებით აჩვენებდნენ. მომღერალი არ სცხრებოდა და თავის ნაღვლიან სიმღერას განაგრძობდა, რომელიც ადამიანს მოაგონებდა ჯარის ხრიალს ავდრიან დღეში. უცბად გამოჩნდა პოლიციელი. ეს მიუხლოვდა მომღერალს და უბრძანა სახლში წასულიყო. მაგრამ მომღერალმა არც კი შეხედა, და განაგრძო:

„ჩვენ ბომბეი სატანჯავად გაგვიხდა,
ცხელო ტყვიავ, ბარემ გული ჩამიკალ!"

— გაათავე ღმუილი!—გაჯავრდა პოლიციელი. მაგრამ მომღერალი მაინც არ ჩერდებოდა. პოლიციელი უფრო გაცხარდა, უხეშად სტაცა მომღერალს მხრებში ხელები, ასწია დედამიწიდან და ზურგში მუჯლუგუნი უთავაზა. მხოლოდ მაშინ შესწყდა სიმღერა, მომღერალმა ღრმად ამოიოხრა და გაემართა მინდვრებისაკენ, ისეთი ადგილის საძებნელად, სადაც მას ხელს არავინ შეუშლიდა. ცნობისმოყვარენი თანდათან ჩამოშორდნენ. ის მიაბიჯებდა ღამის სიბნელეში წმინდა ქვიშაზე. მას მიესალმა სიმინდის მინდვრები აფარებული მუქი მწვანე ბუჩქებით. აქ სიწყნარე იყო. ამ ბუჩქებში ყველაზე მოქნილი გველიც კი ვერ გაძვრებოდა. დაიმალა ამ ბუჩქებში და ხელახლა გააბა თავისი მელოდია. გეგონებოდათ, მთელი ბუნება ამ ხმებით ჩუმად სტკბებოდა. რომელიც ხალხმა ასე უხეშად უკუაგდო.

— შეიძლება შენს გვერდით ჩამოვჯდე?—მოესმა ვიღაცას ხმა. მომღერალს თვალები გაუფართოვდა, თითქოს ჩუმად ნაღდირი მოუცოცდაო. შესწყვიტა სიმღერა და უცნობის სახეს დააშტერდა. მის წინ იდგა მაღალი ტანის გამხდარი კაცი. მისი ნახევრად მოპარსული ულვაშები, ევროპიული კოსტიუმი და ლამაზი აშშკარავებდნენ მასში ინგლისის კულტურის თაყვანისმცემელს. მომღერალმა სიმულიგილით წარმოსთქვა:

— კიდევ პოლიციელი...—და მოტრიალდა.

— შენ სცდები, მეგობარო, მე პოლიციელი არა ვარ, მე ისეთივე მომღერალი ვარ, როგორც შენ...—განაგრძო უცნობმა.—განსხვავება ჩვენს შორის ის არის, რომ შენ შენთვის მღერი, მე კი—ხალხისთვის. ჩვენ ორივენი... თუმცა ეს სულ ერთია...მე მოვედი იმიტომ, რომ გავიგო, რა ნაღველს შეიცავს შენი სიმღერა. მომენდე, მითხარი შენი მწუხარება. მე დასავლეთ ბატკანივით ნაცლობ ვიცნობ მწუხარებას და ამიტომ მე ვმღერი სიხარულის სიმღერებს. მითხარი მწუხარებაზე... მაშინ...

— შენ გგონია, რომ შესძლებ დასწერო მწუხარებაზე?...—შეაწყვეტინა მომღერალმა.—არა, მეგობარო, რომ დასწერო, შენ თვით უნდა იგემო მწუხარება. მე მაინც გიამბობ და შეიტყობ. დიახ, შენც იცოდე: რომ არის ქვეყანაზე ხალხი, რომელსაც ბედი არ სწყალობს.

— დაჯექ ჩემ გვერდით—მომღერალმა მეგობრულად ქვაზე მიუთითა მასთან მოსულს პოეტს. ისინი მთის მწვერვალზე იყვნენ. შორეულ სიცვლიდან**) დამწვარის სუნი მოდიოდა. იქ გვამი იწვოდა. მაგრამ ეს გარემოება მოსაუბრეებს ხელს არ უშლიდა. შორი ახლოს აღმართულიყო ციხე. ღამის დარაჯს შეეძლო ისინი ჯამუშებად მიეღო და აეტეხა სროლა, მაგრამ არც ეს აშინებდა მათ.

* *
*

— ხედავ ამ ციხეს?—დაიწყო მომღერალმა თავისი ამბავი.—მის წინ დადის ყარაული. არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც მე ვიდექი ამ სადარაჯოზე. აქ ბევრი რამ განმიცდია.-ეს არის ბომბეის ყველაზე საშინელი ციხე. ავერ იქ, იმ ბებერი ხის გვერდით, საზრობელა იყო. იქ ჩვეულებრივად სჯიდნენ რევოლუციონერ-ნაციონალისტებს. მე მალე შევიზიზღე ეს სამსახური. შენ ალბად არ იცი, რომ ყველა ეს საფლავები მთის ძირას რომ არის, ნაციონალისტების საფლავებია. ყველა ამათ, მხეცურად დახოცილ ხალხს, უნდოდათ ინდოეთის განთავისუფლება უცხოელების კლანჭებისაგან.

თანდათანობით ჩემში გაიღვიძა ნაციონალურმა გრძნობამ. მე გავხდი ნაციონალისტთა ჯგუფის წევრი, რომელსაც ეწოდებოდა „მებრძოლთა ჯგუფი". მისი არსებობა თითქმის არავინ იცოდა, ჯგუფი არალეგალური იყო. ნაციონალისტებთან ყოფნამ ფანატიკოსად გადამაქცია. ერთხელ მე სადარაჯოზე ვიდექი ციხის კარებთან. ვხედავ, პოლიციელებს მოჰყავთ ვიღაც პატიმარი. სიბნელეში ვერ გავარჩიე მისი სახე, მაგრამ ტანისამოსზე ვიცანი, რომ მუშა იყო. მე რატომღაც მომაგონდა ჩემი უფროსი ძმა, რომელიც წინად საფეიქრო ფაბრიკაში მუშაობდა. მე ამოვიოხრე და გავაღე ციხის კარები. პატიმარი ჩაჰკეტეს საკანში № 8. პოლიციელები წავიდნენ ციხის უფროსთან. უნდა ითქვას, რომ საკანი № 8 მდებარეობდა იქვე ალაყაფის კარებთან. დავინახე საკნის ფანჯარა... ჩამოვიდა საშინელი ღამე. ყველამ დაიძინა, გარდა ისეთი მაწანწალებისა, როგორიც მე და შენ ვართ. მივეყრდენი ალაყაფის კარებს და თვლემა დამეწყო. უცბად მესმის...

მოლაპარაკე გაჩუმდა. თითქოს ენა სასა მიეკრა. ტუჩები უთრთოდა. მან უძლურად შეხედა ცას: მთვარე ზედ მის თავზე იყო. მწარედ გაიღიმა და განაგრძო:

— მესმის, ვიღაც მღერის. მე წავედი სანახავად. ხმა მოისმოდა მერვე საკნიდან. ის ნაცნობად მეჩვენა. მე უნდა შემეწყვეტინებინა ეს სიმღერა, რომ მეორე დღის შენიშვნა არ მიმეღო და სამსახური არ დამეკარგა. მე მკაცრად შევუტიე მომღერალს: გაათავეთ სიმღერა, ნუ გავიწყდებათ, რომ აქ ციხეა! მაგრამ სიმღერა არ შესწყდა და მკაფიოდ გავიგონე სიმღერის უცნაურული სიტყვები:

ცხელო ტყვიავ ბარემ გული განგმირე!
ჩვენ ბომბეი სატანჯავად გაგვიხდა.
ტყვიავ, გული გაგმირე!
ჩვენ დაგვიხვრიტეს, ტყვეო, ტყვეო, იტირე!
ჩვენ ბომბეი სატანჯავად გაგვიხდა,
ცხელო ტყვიავ, ბარემ გული განგმირე!

მე მინდოდა ეს ტყვე გამენთავისუფლებინა. მაგრამ ჯერ რიგიანად ვერაფერი მომეფიქრა, რომ ციხის უფროსი გამოჩნდა და სიჩქარით გაიქცა ჩემს ადგილას. ციხის უფროსმა მიბრძანა პატიმარი მერვე საკნიდან სხვა საკანში გადამეყვანა. გაბრაზებულმა გადავისროლე ჩემი თოფი. როგორ? „მებრძოლთა ჯგუფის" წევრი ასე მონურად უნდა დამორჩილებოდა მოხელეების ბრძანებას?გადავწყვიტე არ დავმორჩილებოდი უფროსს და ტყვე გამენთავისუფლებინა, რომელსაც ასე სწყუროდა თავისუფლება. წავედი ციხეში იმ განზრახვით, რომ წამერთმია დარაჯისთვის გასაღები და პატიმარი გამენთავისუფლებინა.

— რატომ მოგინდა სწორედ ამ პატიმრის განთავისუფლება? ციხე ხომ სავსეა ასეთი ტყვეებით... რომელთაც თავისუფლება სწყუროდათ—შეაწყვეტინა მას პოეტმა—დაგიჯერო მარტო სიმღერისთვის?

— არ ვიცი... უპასუხა ჩაფიქრებულმა მომღერალმა,—რა თქმა უნდა, იყო სხვა მიზეზებიც, მაგრამ მათ შესახებ მე მაშინ არაფერი ვიცოდი... წავედი ციხეში. მერვე საკნის წინ უკვე იდგნენ ციხის უფროსი და გამომძიებელი. დარაჯი აღებდა კარებს. ალბად მე აღარ მომიცდიდნენ. უფროსების დანახვისას გამბედაობა უცბად შიშით შემეცვალა. მივიხედე საკნისაკენ და უფროსს საცოდავი ხმით დაუწყე თხოვნა, რომ ის არ შეეწუხებინათ. პატიმარს ჩვენ თვითონ წავიყვანდით. მაგრამ მან უხეშად მკრა ხელი. დავბრუნდი ჩემს სადარაჯოზე და დაუწყე თვალყურის დევნება. ის საკანი, რომელშიაც პატიმარი გადაიყვანეს, ჩემს სადარაჯოს ახლოს იმყოფებოდა. გასაღების ჭუჭრუტანიდან შემეძლო თვალყური მედევნებია, თუ რა ხდებოდა შიგ.

— მითხარი, უბედურო, რატომ მოჰკალი პოლიციის უფროსი? იქნებ შენ ეს ბოროტმოქმედება ფულისთვის ჩაიდინე? შენ მოგელის სიკვდილით დასჯა. თუ დაასახელებ სხვა მონაწილეებსაც, მაშინ გაპოვნიშვებთ.

ტყვემ თვალები დახუჭა. იქნებ იმის გამო, რომ თავი სიმწრით ჰგონებოდა და ცდილობდა მალე გამოეხიზლებოდა, თუ იმიტომ, რომ არ უნდოდა და არ შეეძლო ეთქვა. ციხის უფროსმა პასუხი რომ არ მიიღო, გაცოფდა და უბრძანა ჯანდარმებს, რომლებსაც თოკის წვერები ეჭირათ:

— დასჭიმეთ უფრო თოკები. დეე, იგრძნოს, რომ სიკვდილს ეთამაშება!

ჟანდარმებმა ისე დასჭიმეს თოკები, რომ ტყვეს ენა გადმოუვარდა და თვალები გადმოფართოვდა. თავის დაქნევით მან გამომძიებელს ანიშნა, რომ რაღაცის თქმა სურდა. შეძრწუნდა, მაგრამ ვკანკალებდი იმის შიშით, რომ რომელიმე თავისი ამხანაგი არ დაესახელებინა.

— მოუშვით ცოტათი თოკს...—ბრძანა გამომძიებელმა. უბედურმა ტუჩები აამოძრავა.

— წყალი მომეცით!

— სიტყვა,—უბრძანა ციხის უფროსმა. პატიმარმა თვალები დახარა და ჩაფიქრდა. გამომძიებელს მოუთმენლობა ეტყობოდა.

— ჩქარა, არ გვცალიან.

— მე დავუსახელებ ამხანაგებს მხოლოდ გამომძიებელს—გაისმა სუსტი ხმა. ვერ მოასწრო გამომძიებელმა ნიშნის მიცემა, რომ ყველანი გავიდნენ. საკანში დარჩნენ მხოლოდ მტრები. ერთი—მუშის შვილი, მეორე—არისტოკრატიული ოჯახიდან.

— დაჯექი,—ცბიერად გაიღიმა გამომძიებელმა.—ჩვენ ყველაფერს გაპატიებთ, თუ მართალს იტყვი, თუ დაგვეხმარები შენ თანამოაზრეების დაპატიმრებასა და შეცდომის გამოაშკარავებაში. ტყვე რატომღაც შეკრთა და თვალები ასწია. მათში ელავდა მრისხანება. ის დაჯდა გამომძიებლის წინ და რაღაც უცნაური ღიმილით წარმოსთქვა:

— ქმაინი—ბომბეის ცნობილი ვაჭრის შვილი, ნისარ სვიხი—სახელგანთქმული მუსიკოსი და მერიდზა სვიხი—ბომბეის უნივერსიტეტის რექტორი.

* *
*

— გაიქლო სამმა დღემ.—განაგრძო მომღერალმა.—მე ისევ სადარაჯოზე ვიდექ. უცებ ვხედავ, ციხიდან გამოდის ტყვე და მომმეოდობება. ვერ ავიწერ, როგორ შემძაგდა. სულ ცოტა ხნის წინად კი მისი განთავისუფლება მინდოდა. ის უნდა ჩამოეხრჩოთ, თუ გაანთავისუფლეს—მაშასადამე ამხანაგები გასცა. ეს რომ ღამით ყოფილიყო, ალბად, ხიშტით მოვკლავდი. მე პირიც კი ვიბრუნე მისგან. როდესაც ის ღიმილით მიუახლოვდა, ასე მეგონა, თვითეული მისი წამწამი ეშმაკის ნესტარზე შხამიანი იყო. როდესაც მე გამისწორდა, ღრმად ამოიხვნეშა და სთქვა:

— მე მუშათა უბანში ვცხოვრობ. თუ ჩემი ნახვა მოინდომა, მოდი იქ და რაგზნაირი იკითხე. ყველა გაჩვენებს ჩემს სახლს...—და წავიდა.

როდესაც სხვა დარაჯმა შემცვალა, მაშინვე წავედი მუშათა უბანში. ბნელოდებოდა. გამალებით მივდიოდი. საკმაოდ ძლიერია ჩემი ხელი, რომ დავახრჩო? ხელები თითქოს ღილადისა იყო. ისე გამიტაცა შურისძიებამ, რომ ვერც კი შევამჩნიე, როგორ მივედი მუშათა უბანში. სიბნელეში ვიღაცას დავეჯახე, რომელიც დაბალ სახლთან იდგა.

— ხომ არ იცით, სად ცხოვრობს რაგზნაირი?—ვკითხე მას.

— ვილარ მიეცანით?—მიპასუხა ღიმილით—შემომდით.

შევედით.

ოთახი საფლავს ჰგავდა;

— კარგს რას მეტყვი, მეგობარო? ისევ ჩემი დასაპატიმრებლად მოხვედი?—ღიმილით მიყურებდა და თვალს არ მაშორებდა.

---

*) ეს-საბიბ-ვაფა ინდოეთის რევოლუციონერი პოეტი და დრამატურგია. დაიბადა 1900 წელს ჩრდილოეთ პენჯაბში. თავისი რევოლუციონერი მოქმედებისათვის არა ერთხელ ყოფილა დევნილი ინგლისელებისაგან. 1926 წლიდან ემიგრანტად იყო საბჭოთა კავშირში.

**) სიცვ—სახალხო კრემატორიუმი.

ვეცი მას ყელში და ვახრჩობდი. თითებში ძალა გამომელია; ვხედავ, რომ ის წინააღმდეგობას არ მიწევდა. მეღიმებოდა კიდეც, სანამ ჩემმა თითებმა სახე არ გაუნაცრისფერეს. გავუშვი ხელები და მეორე მხარეზე გადავედი. რაჯბირი უძრავად იდგა; ის ღრმად ჩაფიქრდა.

— გმადლობ, მეგობარო...—წამოიძახა ბოლოს ყრუ ხმით.—გმადლობ, რომ მოისურვე ჩემი განთავისუფლება. მაგრამ, რატომ ერთ ერთმა თქვენგანმა არ დამახრჩო საბოლოოდ? მოდი, გაათავე შენი საქმე.

ოთახი ვიწრო იყო, მაგრამ ამ სიტყვების შემდეგ სული შევიხუთეთ. კარებისკენ გავეშურეთ. მისმა ხელმა გამაჩერა. მინდოდა მისი მოშორება, მაგრამ ეს ადვილი არ იყო. რაჯბირი ჩემზე სუსტი არ იყო. მით უფრო გასაკვირველი იყო მისი ასეთი დამორჩილება.

— გამიშვი ხელი, გამცემო!..—დავუყვირე მას.

— გამცემი?—გაიმეორა მან და ხელი გამიშვა. მან ისე ველურად გადიხარხარა, რომ დავიბენი. არ ვიცოდი რა მეთქვა.

— ეს მე ვარ გამცემი? აი, რატომ გინდოდა ჩემი დახრჩობა?.. აი, ყოჩაღ!..

მან მეგობრულად დამკრა მხარზე ხელი, დაჯდა და დაიწყო:

— ეს იყო 1924 წელს. მე მოვკალი ერთი გაიძვერა ინგლისელი. ჩემი სიცოცხლის გადასარჩენად ვიმალებოდი. მაგრამ პოლიციელები ფეხდაფეხ დამდევდნენ. ბოლოს, მოვახერხე მსახურად დავმდგარიყავი ერთ ახალგაზრდა ტურისტთან, რომელიც ინგლისში მიდიოდა. მალე ჩვენ ჩავსხედით გემში. გზაში დავუახლოვდით ერთმანეთს. როდესაც გავიგე, რომ ის ფანატიკოს-ნაციონალისტი იყო, ვეამბე მას მკვლელობაზე. მას შემდეგ ჩვენ დავმეგობრდით. ის პატივს მცემდა. სამი წელიწადი დავყავით ასე ინგლისში. ერთხელ მან მითხრა: ინდოეთში დაბრუნება გადავწყვიტე. თვალწინ ხელახლა წარმომიდგნენ პოლიციელები და სახრჩობელა. მძიმედ ამოვიოხრე და გავჩუმდი.

— შენ უკმაყოფილო ხარ, რომ ინდოეთში მივდივართ?— მკითხა გაკვირვებით.—ა, შენ პოლიციელების გეშინია! ნუ გეშინია, მეგობარო! ეხლა შენ ეშმაკიც ველარ გიცნობს, შეხედე შენს თავს... ხედავ რამოდენა წვერები გაქვს?—და მან გამომიწოდა სარკე.

მე ვერ ვიცანი ჩემი თავი. ერთი კვირის შემდეგ გამოვემგზავრენით. ტურისტმა მომაწყო საფეიქრო ფაბრიკაში. მე ცოტა გადავეჩვიე მუშაობას, მაგრამ მაინც დავდექი დაზგასთან. მე რომ კაცის მკვლელი ვიყავი, მხოლოდ ტურისტმა იცოდა. შემეძლო დამშვიდებული ვყოფილიყავ. ნახევარ წელიწადი ვმუშაობდი ფაბრიკაში და ყველაფერი კარგად მიდიოდა. მოულოდნელად ფაბრიკის პატრონმა განაცხადა:

— ჩვენ გადავდივართ სამდღიან სისტემაზე. თქვენი ხელფასი გადიდდება, მაგრამ, რადგანაც ყველას ხელფასს ვერ მოვუმატებ, ამიტომ 25 მუშა დათხოვნილი იქნება. აი, მათი სია.

მან გადმოგვიგდო სია და ავიდა კანტორაში. ჩვენ შევიკრიბენით ეზოში. როდესაც სია წავიკითხეთ, დავინახეთ, რომ დათხოვნილი არიან საუკეთესო შეგნებული მუშაკები, ფეიქრები აღშფოთდნენ და გაფიცვა გამოაცხადეს. ყველა საფეიქრო ფაბრიკები და ტრესტები მხარს გვიჭერდნენ. სილატაკე, როგორც გველი, ძვლებს გვამტვრევდა. სამგლოვიარო ხმები და საშინელი ყვირილი მოისმოდა ყველა სახლიდან. მედგარი კავშირი „ჩირჩი კომდორი" (ფეიქართა რევოლიუციონური კავშირი „წითელი დროშა") განაგრძობდა ბრძოლას. მთავრობა და ფაბრიკანტები ყოველგვარ ზომებს მიმართავდნენ, რომ გაფიცვა ჩაეშალათ. მაგრამ ეს მათ ვერ შესძლეს. დასახმარებლად მოიწვიეს სრულიად ინდოეთის ტრედუნიონების ცენტრალური მდივანი ჯოში, გაიტაცეს ჩვენი სალარო, ყადაღა დაადეს ფულს, რომელიც გამოგვიგზავნეს ჩვენმა ძმებმა, საბჭოთა კავშირის მუშებმა. ყველაფერი ამაო იყო. ჩვენი კავშირი ურყევი იყო. მაშინ მათ გადასწყვიტეს გამოეყენებიათ ინდოეთ-მუსულმანური მტრობა. დადგა „ბაკარიდის"*) დღესასწაული. ფაბრიკანტებმა დაიქირავეს პატანების**) ბრბო, რომ მათ ძროხა***) დაეკლათ. ასეთ შემთხვევაში შეტაკება აუცილებელია. ასეც მოხდა. გამოჩნდა პოლიციის უფროსი ჯარისკაცებით და ბრძანა დაერბიათ მუშათა უბანი. ბევრი ჩვენი მეთაური დაიცა. ჩვენ მოვაწყვეთ თავდაცვის რაზმები, მაგრამ ჟანდარმების ტყვიისმფრქვევლებმა გვაიძულეს ზურგი გვებრუნებინა. მთელი უბანი გადაიქცა სისხლად. ღამის სიბნელემ გვიხსნა. მე და ჩემი სამი ამხანაგი შევეფარეთ ჩემ სახლს. მოულოდნელად ვიღაცამ შემოამტვრია ჩემი ოთახის კარები. შემოვიდა შეიარაღებული ჯარისკაცი. მე ჩავაქრე სანთელი, კიდევ რამდენიმე კაცი შემოვიდა. ბნელში ჩვენ ვერ ვხედავდით ერთმანეთს.

— ესროლეთ! ბრძანა ინგლისელის ხმამ.

ჩვენ დავიმალეთ კუთხეებში. ჯარისკაცები ისროდნენ, სანამ ტყვია არ შემოელიათ. შემდეგ წავიდნენ, დარწმუნებულნი, რომ ყველა დაგვხოცეს. ავანთეთ სანთელი და დავინახეთ პოლიციის უფროსის გვამი. ჩვენ საჩქაროდ დავტოვეთ ოთახი. უფროსის გვამი ქუჩაში დავაგდეთ.

გავიდა 8 დღე. მე არ ვბრუნდებოდი სახლში. ამხანაგებთან ვცხოვრობდი. ამ დღეებში შევთხზე ის სიმღერა, რომელსაც ვმღეროდი საკანში № 8. მერვე დღეს გადავწყვიტე სახლში დაბრუნება. რამდენიმე დღე დავყავი იქ. შემდეგ მოვიდნენ პოლიციელები და წამიყვანეს ციხეში. რაც იქ მოხდა, შენ ალბად იცი, თორემ არ მოხვიდოდი ჩემს დასახრჩობად. მაგრამ ერთი რამ შენ ალბად არ იცი. ის, რომ მე მოტყუებით გავნთავისუფლდი. მე დავასახელე ცრუ პირები. მათ დამიჯერეს და გამანთავისუფლეს. რა ვქნა შემდეგ? დღეს [illegible] ხვალ, გაიგებენ ჩემს სიცრუეს და დამახრჩობენ. სადმე გავიქცე, ძალა აღარ მაქვს, [illegible] დი შენ და დახრჩობა დამიწყე. მე [illegible] მაგრამ შენც აღარ დაასრულე შენი საქმე...

გაუნძრევლად ვიჯექი და უსმენდი რაჯბირს. როდესაც გაათავა, დავეცი მის ფეხებთან:—მაპატიე, თუ შეგიძლიან.

კიდევ ბევრი რამის თქმა მინდოდა, მაგრამ რაჯბირმა შემაწყვეტინა.

— მითხარით, რაჯბირ, ეს თქვენი ნამდვილი სახელია?—ვკითხე გაუბედავად.

— არა, მშობლები ჩანდუს მეძახდნენ...

მან ვერ მოასწრო ამ სახელის თქმა, რომ სიხარულით ხელი მოვხვიე.

— ჩემო ძმაო!

ძმამ დამაპურა რითაც შეეძლო, წავედი საყარაულოდ და დავპირდი მოვსულიყავი სამსახურის შემდეგ. როდესაც ყარაულზე ვიდექი, ჩემთან მოვიდა „მებრძოლთა ჯგუფის" ერთ-ერთი წევრი. ის შემეკითხა, თუ რატომ არ ვიყავ გუშინდელ კრებაზე. ვერ გავბედე მისთვის სიმართლე მეთქვა და ავადმყოფობა მოვიმიზეზე. მან ვერც კი მოასწრო წასვლა, რომ ჩემთან მოვიდა ერთი ჯარისკაცი და მითხრა:

— მე ვიცნობ მას, ეს ცნობილი ნაციონალისტი სარდარია, შენ მასთან მეგობრობ?

მე გავჩუმდი, ჯარისკაცი განაგრძობდა:

— ეს ნაციონალისტები წამგლეჯი ხალხია.

— გაჩუმდი—აღმოხდა მე—ისინი ჩვენ გვჯობია.

— როგორ არა,—გადაიხარხარა მან—ყველა ისინი ისეთივე გამცემები არიან, როგორც გუშინდელი პატიმარი, რომელმაც გასცა ამხანაგები და თავისუფლება მოიპოვა. სამშობლოს სიყვარული—ფუჭი სიტყვებია.

მე ველარ მოვითმინე და ვუპასუხე:

— გუშინდელ პატიმარის მსგავსად გამცემები ცოტა მეტი რომ გვყავდეს, ინდოეთი დიდი ხანია თავისუფალი იქნებოდა.

მაგრამ მალე მივხვდი, რომ შეცდომა დავუშვი.

ციხის უფროსმა და გამომძიებელმა ჩვენი ლაპარაკი მალე შეიტყვეს. მე კიდევ სადარაჯოზე ვიდექი, რომ ჯარისკაცებმა ხელახლა მოიყვანეს ჩემი ძმა. მე გავშეშდი. მერე სულელური აზრი დამებადა—განთავისუფლება, თავს დავეცი ჯარისკაცებს: მათ დამაპატიმრეს და ჩამსვეს ბნელ საკანში. იქ დავყავი ორი დღე. მესამე დღეს შემოვიდა დარაჯი, შემომიტანა საჭმელი და მითხრა:

— ის, ვის გულისათვისაც შენ ზიხარ, დღეს ჩამოახრჩეს.

მომღერალი გაჩუმდა. ის იყურებოდა გარშემო და ვერაფერს ხედავდა.

— მე მსურს ვიმღერო! ნუ მიშლით სიმღერას! მოუშვით თოკს!

და ველური ღრიალით გაიქცა. პოეტმა ვერ გაბედა დასდევნებოდა. ის ნელა გაემართა ბოსტნებისაკენ. ხოლო ხშირ ბუჩქებში ხელახლა გაისმა მწუხარე ხმები:

ცხელო ტყვიავ, ბარემ გული განგმირე!
ჩვენ ბომბეი სატანჯველად გვექცა...

*) ბაკარიდი—დღესასწაული, როდესაც მაჰმადიანები ღმერთებს სწირავენ თხებს, ცხვრებს, ძროხებს და აქლემებს, შეძლებისდაგვარად.

**) პატანები—ინდოეთში მცხოვრები ავღანელები, რომლებიც მევახშეობას ეწევიან.

***) ძროხა—საღმრთო ცხოველია. როდესაც სურთ ცოდვების გამოსყიდვა ძროხას აჩუქებენ ბრამინს.





სპორტი ბათუმში

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲐᲛᲑᲐ

საქართველოში დიდი ხანია ითესებოდა ბამბა, მაგრამ მრეწველობითი ხასიათი მას არა ჰქონდა. ზოგიერთ რაიონებში, როგორიც კახეთში, ერეთში, ბორჩალოში და აფხაზეთში მოსახლეობა ეწეოდა ამ კულტურას, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ წარმატებით.



ნაადრევი ხვნა ტრაქტორით.

ამ მიზეზით იყო მიჩნეული შეუფერებელი ჩვენი ბუნება - ჰავისათვის ბამბის თესლისა საკითხის შესწავლა დავალებული ჰქონდა ყარაიის საცდელ სადგურს, რომელმაც გამარჯვებით შეასრულა დავალება და ჯერ კიდევ მსოფლიო ომის წინათ შექმნა და გამოიყვანა სელექციით საკუთარი თესლი სახელწოდებით „ყარაიული კინგი". მას შემდეგ დაიწყო ჩვენში მებამბეობის განვითარება, რადგან მრავალი ცდების შემდეგ მხოლოდ ეს თესლი გამოდგა ყველაზე შესაფერისი ჩვენი ნიადაგ-ჰავისათვის. ყარაიის საცდელი სადგური კვლავ ძიებას აწარმოებს (მაგ. თესლთა ბრძოლა, სხვადასხვა ხელოვნური სასუქების შეტანა ბამბის



ყარაიის აგრო-პუნქტი.

ნათესებში, აგროტექნიკური ამოცანები: დათესვის ვადა, მორწყვის ვადა, მოვლა და სხვა. ცდები ბამბის წინამორბედ ნათესების შედეგებზე და სხვა მრავალი სადღეისო საკითხები) შედეგები 1923 წლიდან დაწყებული ცდებისა შემდეგია: ბამბა მოსავალს იძლევა 100-110 ფუთამდე, პურეულები 120 ფუთს, სიმინდი 400 ფუთამდე, იონჯა ოთხჯერ ითიბება, თითოჯერ 150 ფუთი ჰექტარზე—600 ფუთი, საკვები კვახი 2.500 ფუთი, მიწის თხილი (არახისი) 80-120 ფუთამდე, სოია 80 ფუთი. იქ, სადაც ბამბა ითესება, შესაძლებელი ყოფილა ამგვარი მოსავლის მიღება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს მიღწევანი მასაში არ არის გატანილი დღემდე.

საცდელ სადგურის დასაყრდნობი პუნქტები არა აქვს, ხალხმა არ იცის ეს შესაძლებლობა და ბამბის მოსავალი ჰექტარზე, როცა სადგური იღებს 100 ფუთამდე, მოსახლეობა მხოლოდ 40 ფუთზე მეტს ვერ იგროვებს.



შულავრის აგრო-პუნქტი.

ადგილობრივი მოსახლეობა ჩამორჩენილია კულტურას, ბევრი მიწურებში სცხოვრობს და ცოტას აქვს მიწის ზევით აშენებული სახლები, როგორიც მაგ. ყარატაფაში.

ომის წინათ ბამბის ნათესების ფართობი საქართველოში არ აღემატებოდა 5-6 ათას ჰექტარს, საერთო მოსავლით — 200.000 ფუთს ნედლ ბამბისას. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბამბის კულტურას. ნათესების ფართობები იზ-



ყარაიის ბამბის' ქარხანა,

რდება შესამჩნევად. 1929 წელს მთლად ნათესები იყო 8.300 ჰექტარი. მიმდინარე 1930 წელს ითესება 14.300 ჰექტარი.

ბამბის კულტურის განვითარებაში შესამჩნევ სამსახურს უწევენ აგროპუნქტები ყარაიისა, სარვანისა, შულავრისა და მარნეულისა და ხალხში ავრცელებენ რაციონალურ მოვლას, სასუქების შეტანას მოსავლის გასადიდებლად.



ბამბის ნათესებისათვის დამზადებული ხელოვნური სასუქი.

ჩამოყალიბებულია მებამბეობის განსაკუთრებული ამხანაგობანი, რომელნიც ახდენენ კონტრაქტაციას ბამბის ნათესებზე, ურიგებენ მოსახლეობას თესლს, პურს, ფართალს და მანქანა - იარაღებს. ასეთი ამხანაგობები დაარსებულია ყარაიაში და სადგურ შულავერში.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ბამბის საწმენდ ქარხნების აშენებას ამ უკანასკნელ წლებში ყარაიაში და შულავერში, სადაც ბამბა იწმინდება, იპრესება და გამზადებული გამოდის.

აგრეთვე უდიდეს ხელშემწყობ ძალათ უნდა ჩაითვალოს ბორჩალოს სამანქანო - სატრაქ-



ყარაიის საცდელი სადგური.

ტორო სადგური, რომლის განკარგულებაში ასზე მეტი მძლავრი ტრაქტორია. მან დაჰყო ეს ტრაქტორები კოლონებად, რამდენიმე ათეული და ზოგი დაგზავნა შულავერში, ზოგი გიაურ-არხში, ზოგიც სადახლოში.

ყველა ეს სრულ იმედს გვაძლევს, რომ მებამბეობა საქართველოს ბამბის რაიონებში საუცხოვო შედეგებს მოიტანს და სახელმწიფოს [illegible] ფრიად საჭირო მასალით უზრუნველჰყოფს მომავალში.

Ვ. ᲙᲐᲠᲐᲚᲔᲚᲘ

# ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

## „ᲛᲮᲣᲠᲕᲐᲚᲔ" ᲢᲘᲠᲘᲤᲝᲜᲐ

ამ რამოდენიმე წლის წინად, ტირიფონის ველზე მდებარე სოფლების მცხოვრებნი დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ მრავალი საუკუნოების განმავლობაში უწყალო მინდორი, არავის გზით არ მოირწყვებოდა თუ ამას არ მოისურვებდა „მაღალი ღმერთი". ეს მით უფრო ლოგიკურ სჩანდათ, რომ ტირიფონის ველი, ისე როგორც მრავალი სხვა ასეთი ადგილები თვითმპყრობელური მთავრობის მიერ უყურადღებოთ იყო მიტოვებული.

ტირიფონა უზომოდ ნაჭაპნი ადამიანის შრომას და ნაყოფს კი, მცირე ნაწილის გარდა, არაფერს აძლევდა. ამიტომ ტირიფონის ველი სოფლებში ლეგენდათ არის გადაქცეული ის, რომ თითქოს ტირიფონის ველი ღმერთისაგან ყოფილიყო დაწყევლილი და ხალხიც აქ სასჯელის მიზნით დაესახლებინოს.

სოფელ ქორდის ერთი მოხუცებული გლეხი ასე ხსნის ტირიფონის ველის მოურწყაობას.

— ამ ველზე ერთ მოხუცებულ კაცს უცხოვრია. არც ცოლი ჰყოლია და არც შვილი. მთელი ველი მის ხელში ყოფილა და მოსავალიც დიდი ჰქონია, მაგრამ, რადგანაც მას იესო-ქრისტესათვის უარი განუცხადებია ღმერთის სამსახურზე, ქრისტეს დაუწყევლია იგი და მთელი ველი გადაუქცევია მხურვალეთად, ურწყავათ. მას შემდეგ კი ღმერთს აქ ჩაუსახლებია ისეთი ხალხი, რომელსაც რაიმე სასჯელს მიუსჯიდა"-ო.

ამ ლეგენდარულ ამბავს მოხუცებული ამტკიცებს იმით, რომ ტირიფონის ველზე არის სოფელი ხურვალეთი და თითონ ტირიფონაც მხურვალეა, ე. ი. ველი იმდენად სიცხიანი ადგილია, რომ მოსავალი აქ არ მოდისო.

ეს, რასაკვირველია, ლეგენდაა და სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვს-რა. პირიქით, ტირიფონა ერთ დროს ქართლის ბეღელს წარმოადგენდა მოსავლის მხრივ. მაგრამ ეს ლეგენდა დამახასიათებელია იმით, რომ ტირიფონის ველზე მდებარე სოფლების მცხოვრებნი, იმდენი ჰქონიათ გადაწყვეტილი, ისინი აღარ მოელოდნენ თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მენშევიკური ბატონობის დროს კიდევ ამ-ვის ეცალა ასეთი „წყლიანი" საქმისათვის. მენშევიკების მთავარი საზრუნავი იყო არა

წრომელ გლეხების მეურნეობის გაუმჯობესება, არამედ ნაციონალური შუღლის გაღვივება და ასეთი გზით ღარიბ გლეხობის შეცდომილება. ვის არ ახსოვს ტირიფონის ველზე მცხოვრებ რუსი გლეხების დარბევა მენშევიკების მთავრობის მიერ? ვის არ ახსოვს მენშევიკების ნაციონალური ბრძოლები მეზობელ სახელმწიფოებთან? განა ასეთი „ღვთიური" საქმის ხალხს, ეცალებოდათ ასეთი „წვრილმანი" საკითხებისათვის მიექციათ ყურადღება, როგორიც არის არხის გაყვანა? მაშინ ხომ აღარც მენშევიკური მთავრობა იქნებოდა?

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს შესაძლებელი გახდა ტირიფონის ველზე არხის გაყვანა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე, მუშურ-გლეხურმა ხელისუფლებამ ფართოდ გაშალა აღმშენებლობითი მუშაობა როგორც ქალაქად ისე სოფლადაც. და აი ტირიფონის არხის გაყვანაც დაიწყო სწორედ ამ დროიდან, 1921 წლიდან.

გაგვაცნო ლეგენდა ტირიფონის ველის „მხურვალობის" მიზეზები, ამბობდა:—ღმერთი ჩვენ თითონ ვყოფილვართ, ვერც ღმერთმა და ვერც მის მსახურებმა ვერ შეძლეს მამა-პაპის დროიდან ურწყავი ველის მორწყვა. ჩვენ კი, მუშურ-გლეხური ხელისუფლების ხელმძღვანელობით, შევძელით გიჟი ლიახვის უღელში შებმა და მისი დამორჩილება. ეხლა რამდენიც უნდა იმდენი იწყევლოს ღმერთმა, ველარაფერს დაგვაკლებს და მართლაც მდინარე დიდი ლიახვი დამორჩილებულით მიჰყვება ახლად გაკვლეულ გზას და ულოცავს გამარჯვებას, სოფლებიდან წითელ დროშებით საზეიმოთ გამოსულ გლეხობას. გლეხობა ყველა სოფელში ზეიმით ხვდება ახალ სტუმარს,—მდ. დიდი ლიახვს, რომელიც ისურვის 27.715 ჰექტარი მიწა უზრუნველჰყოს სარწყავი წყლით. ამიერიდან ტირიფონის ველი აყვავდება სხვადასხვა კულტურული მცენარეებით.

არხი იწყება მდინარე დიდი ლიახვიდან. მისი სათავე არის ცხინვალში. აქედან არხი,

[illegible] უჭირო მეტს შერჩა სოფლადვე [illegible] იმასაც ნახევარს ძლივს ინაზღაურებდნენ.

ასეთი მეურნეობა მომავალში [illegible] იქნება. არხი საშუალებას აძლევს გლეხობას განავითარონ თავიანთი მეურნეობა და გაზარდონ ტექნიკური კულტურის ნათესების ფართობი. მეცენახეობა-მებოსტნეობა და შაქრის ჭარხლის თესვა, დიდ სარგებლობას მოუტანს გლეხობას და საერთოდ ტირიფონის ველის მეურნეობას.

გლეხობა უკვე შეუდგა დღემდე გამოუყენებელ მიწების დამუშავებას. ისინი დიდის აღფრთოვანებითა და ენტუზიაზმით სწორავენ მიწებს მომავალში სხვადასხვა კულტურულ მცენარეების გასაშენებლად. წელს, არხის ამუშავების იმედით, გლეხებმა მრავალი მიწები დახნეს და თესეს ისეთები, რომლებიც საუკუნოების განმავლობაში უქმათ იყვნენ. არხისავე იმედით, ტირიფონის ველზე, სოფელ ნაწრეტის მეზობლად, დაბინავდა ქართული დივიზიის ამხ. ვოროშილოვის სახელობის წითელარმიელთა კომუნა. კომუ-





**ტირიფონის არხის მალქაში.**

**კუთხეში—სამუშაოთა მწარმოებელი ინჟ. შ. ლიაძე.**

პირველ ხანებში ტირიფონის ველის მცხოვრებნი უნდობლად უყურებდნენ არხის გაყვანის საქმეს. მათ არ ჰქონდათ წარმოდგენილი როგორ შეიძლებოდა უშველებელი მდინარის პირის შებრუნება და მისი გამოყენება ადამიანის საჭიროებისათვის.

— აქ რომ წყალი მოვიდეს და მორწყოს ეს თვალუწვდენელი მინდორი, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. მაგრამ აბა როგორ მოვა, ასეთ ბედნიერებას ჩვენ ვინ გვაღირსებს, ნაღვლიანის ხმით წარმოსთქვა სოფელ შავშეთის მოხუცმა გლეხმა. და ამას ამბობდა არა ერთი და ორი გლეხი, არამედ ტირიფონის ველზე მცხოვრებთა უმრავლესობა.

და აი მიმდინარე წლის თერთმეტ მაისს, ეს გლეხები მოწმენი გახდნენ თავიანთი ბედნიერების. დარწმუნდნენ, რომ მათი უიმედობა უსაფუძვლო იყო. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც არხით დასერილ ტირიფონის ველზე, იხილეს გველივით დაკლაკნილი დიდი ლიახვი, რომელიც დაუმორჩილებლად მისრიალებდა ქვემო ჭალის მიმართულებით.

თერთმეტ მაისს ის გლეხი, რომელმაც

მეჯვრისხევზე და ქვემო ჭალაზე გავლით უერთდება მდინარე ლეხურას. არხის სიგრძე უდრის 41 კილომეტრს და უნდა მორწყოს ცხინვალის, გორის და ქვემო ჭალის შუამდებარე ველი. 27.715 ჰექტარის რაოდენობით, მაგრამ წელს მოირწყვება მხოლოდ ტირიფონის ველის აღმოსავლეთის ნაწილის 1.000 ჰექტარი მიწა, დანარჩენი მიწების მორწყვის რეკონსტრუქციისათვის, მომავალში დაიხარჯება კიდევ 1.700.000 მანეთი. ეს თანხა გამოყენებული იქნება ველის დასავლეთი ნაწილის, პირველყოფილი არხების გაუმჯობესებაზე. არხები მორწყავენ სამი ათას ჰექტარ მიწას. ახლად მორწყულ და მორწყვის გაუმჯობესებულ მიწების სივრცე უდრის — 26:600 ჰექტარს.

რა სარგებლობას მოუტანს არხი მცხოვრებლებს? ეს საკითხი ძალიან აინტერესებთ გლეხებს. დღემდე მოსავალი ტირიფონის ველზე, სადაც კი თესებოდა რამე, ბედზე იყო დამოკიდებული: თუ მოვიდოდა წვიმა, მოსავალი კარგი იცის, თუ არა და მზისაგან გადამწვარი იყო. ამიტომ გლეხები კულტურულ მცენარეების თესვას არ მის-

ნა, წითელ ყაზარმაში გამოჭედილი. კომუნამ უკვე მოხნა 300 ჰექტარამდე მიწა.

ამგვარად „მხურვალე" ტირიფონა, ამიერიდან წარმოადგენს საქართველოს ერთ მოსავლიან ადგილთაგანს. ტირიფონის ველი არის ტექნიკური კულტურის მომავალი სამეფო. აქ გაშენდება ბაღ-ვენახები, დაითესება შაქრის ჭარხალი და სხვა.

ყველაფერი ეს კი საწინდარია სოციალისტური მშენებლობის შემდგომი განმტკიცებისა, სასოფლო მეურნეობის განვითარებისა, ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებისა და საერთოდ სახალხო მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნისა: ტირიფონის არხის ამუშავება, მორიგი გამარჯვებაა სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. ასეთია შრომელთა ენტუზიაზმის შედეგები, ასეთია ჩვენი მიღწევები ამ დარგში:

არხის გაყვანას თავიდანვე ხელმძღვანელობდა ინჟინერი ლიაძე. იგი არავითარ ღონეს არ ზოგავდა არხის წარმატებით დასამთავრებლად. ამ ენერგიული შრომის ნაყოფი ვიხილეთ მიმდინარე წლის თერთმეტ მაისს.

**შ. ნანუაშვილი.**



# ჰაეროპლანი იკვლევს სამხრეთ ამერიკის გამოუკვლეველ ტყეებს











# ფაბრიკაში

ნი, ერთმანეთს ეჩურჩულებიან: „ნახე, თეატ-კრიტიკა რაებს ამჟღავნებს?"

„ხედავ, ჩვენ ცხვირწინ თურმე რაები ხდება და ამის შესახებ ბევრმა არაფერი იცოდა ან, თუ იცოდა, თავისთვის იყო".

დაიწყო შეკითხვები.

ჩაეწერნენ მოკამათეებიც...

— ე, ლექსო!—მიმართა კრების თავმჯდომარეს ვიღაცამ,—ჩამწერე, ბიჭო, კამათში...

— გვარი?..

— ტატე! ნონიკაშვილი... რა ქენა, ვეღარა მცნობ, შე სახეძაღლო, შენა! რა, თავმჯდომარეობამ ხომ არ დაგაბრმავა, ჰა!?.

ტატეს სიტყვები სიცილს იწვევს მის გარშემო მყოფ მუშათა წრეში.

— ჯინჯიხაშვილი!

— სულაკაური!

— საყვარელიძე!..

ირევა ხმები ერთი მეორეში და დარბაზი ზუზუნებს, როგორც ფუტკარი...

— სიწყნარე, ამხანაგებო!—მოუხეშავი ბანით აწყნარებს კრებას თავმჯდომარე!—სიტყვასა ტატე იტყვის ნანიკაშვილი.

ტატე სწრაფად დაიძრა ადგილიდან და სწორედ იქითკენ გაემართა, საიდანაც გიგაური აკეთებდა მოხსენებას...

ტატე მოტრიალდა ხალხისკენ...

ქუდი გაისწორა, მარჯვენა ფეხი წინ წადგა და გულხელდაკრეფილმა დაიწყო:

— ხალხო!—ტატემ დარბაზი დაათვალიერა, სათითაოდ ყველას გადახედა—ხალხო! რაც ულმერთობაა აქ ხდება, ამ მუდრეგ ფაბრიკაშია, რატომაც ათი მილიონი არ დაჯდება ჩვენი ფაბრიკა! ხალხო! ამაზე მეტი უნამუსობაა იქნება კიდევა, რომა ე, ჩვენი ზავხოზაა, რა არის, არც ერთ არტელის ბიჭებსა სილა და ხრეში არ მოატანია ფაბრიკისთვინა... მერე რათაო, არ იკითხავთ? „თქვენი ხარკამეჩები მჭლეები არიო, განა? თუ კი რომა არტელის ბიჭები სამუშაოს ვერ იშოვნიან სახელმწიფო ფაბრიკაშია და საქონელს ცარიელ ბალახზე ამყოფებენ მშიერებსა, მშიერები და არაქათ გაცლილები მჭლეები იქნებიან, მა რა ჩემი ფეხები გაასუქებს, აჲ?

დარბაზში ხუილი ატყდება...

ხალხო! ე კამეჩები თუ მჭლეები არიან, სახორცეთ ხომ არა ვყიდით იმ ვერანებსა... სილა-ხრეშსა თუ კი დავდგამდით განაწეს ფასებშია, ამ ჩვენ ზავხოზს რა ჩემი ფეხები უნდოდა არ ვიცი...

— ჯერ ლაპარაკი ისწავლე და...—წამოიძახებს ბარბაქაძე ადგილიდან.

თავმჯდომარე ზარს აწკარუნებს.

ხალხში ისმის სიცილი და „ყოჩაღ, ტატე"-ს წამოძახილი.

— ხალხო! კოლექტივმა რომ აგური დაამზადა აგურხანაშია და მელიქოვმა და ზავხოზმა რო ატკაზი დაარტყა კოლექტივის აგურებსა, რა არის რომაო წვრილებიაო...

— წვრილებიო? ოჰო!—წამოიძახებს ვიღაც დარბაზიდან...

— აი ამის მზემ, — ტატე მარჯვენა ლოყაზე შემოიკრავს ხელს, — წვრილებიაო და ვითომც უწვავიო. ადგენ და ფოლორაჩიკიდანა რო შეიყიდეს იმოდენა გური ათასი ოთხ თუმნადა, მაშინ როცა რომა კოლექტივი სამ ნახევარ თუმნად იძლეოდა ათასსა, ფაბრიკა ძვირი დაჯდებოდა, მა რა მოუვიდოდა, ხალხო!..

იმერეთიდან რომა ფოლორაჩიკი ჩამოიყვანა თავისი მუშებითა, აქ სანარდო სამუშაოებს ფასები დაუკლო მუშების თვალის ახვევადა და ფოლორაჩიკი გაასუქა მუშების ზურგზედა, ამაშიც მე ვტყუი, ხალხო? მე გავათავე და რაც დამავიწყდა თქვენა თქვით, ბიჭებო...

ტატე შეუდღულივით დაეშვა დარბაზისაკენ და გიგაურმა რაღაც შენიშვნები ჩაწერა ბლოკნოტში...

— სიტყვა ჯინჯიხაშვილისაა, ამხანაგებო!

— არ გვინდა! — დაიძლვია ვიღაცამ სიჩუმე დარბაზში და დანარჩენებიც აიყოლია.

— ბარბაქაძის კაცია!

— ფოლორაჩიკია! — აირია ხმები ერთმანეთში.

— ამხანაგებო! — მიმართავს ხალხს ჯინჯიხაშვილი, რომელსაც უსაზღვრო ხმაურობაზე ფერი ეცვლება და აკანკალებული ხმით ცდილობს აშლილებული ხალხის დაწყნარებას...

— ძირს!

— არ გვინდა! — გუგუნებს დარბაზი და განუწყვეტელი სტვენა — ყიჟინა კედლებს აზანზარებს.

— ს—ი—ჩ—უ—მ—ე—ე! სიჩუმე, ამხანაგებო!— ცხარობს თავმჯდომარე და ზარის უაზროდ აწკარუნებს, მაგრამ...

— ძირს!

— ძირს! — გუგუნებს კვლავ მთელი დარბაზი და გაურკვეველი წამოძახილები კედლებს ენარცხება...

— ამხანაგებო! რატომ გგონიათ...

— არ გვინდა!..

— ამხანაგებო! — არ იშლის თავისას ჯინჯიხაშვილი, — უნდა მოგახსენოთ, რომ როცა ამხ. ტატე ლაპარაკობს კოლექტივის აგურზე.. არ უნდა დავივიწყოთ ის მდგომარეობა, რომ ჯერჯერობით კოლექტივები, როგორიც სამეურნეო ერთეულები, მოუმზადებელია და მოუწესრიგებელი...

— მერე?

— კოლექტივის დამზადებული აგური კი ნაკლები ხარისხ..

— ძირს!

— ფოლორაჩიკ!

— ამხანაგებო! კოლექტივის აგური, რომელიც აქ დაამზადეს, ხარისხით ბევრად ჩამოუვარდებოდა...

— რის ჩამოუვარდებოდა? ჩასტრი ფოლორაჩიკების აგურებს?

— დიახ, კერძო ბაზარზე შეძენილ აგურებს და, როგორც ამხ. ლენინი ამბობდა...

— ხედავ, ლენინსაც როგორ იშველიებს?

— დიახ, როგორც ბელადი ლენინი ამბობდა: „საქმე ხარისხშია და არა მის ღირებულებაში". ამიტომ თუ სამუშაოთა უფროსმა და საიდეო ნაწილის უფროსმა არჩიეს ფაბრიკის მოთხოვნილების კერძო ბაზრით დაკმაყოფილება...

— ძირს!

— თასყირდულია!

— ამხანაგო თავმჯდომარე! — გააწყვეტინა სიტყვა ჯინჯიხაშვილს ვიღაც შავბლუზიანმა, — მოქეცით სიტყვა წესრიგისათვის.

— გეძლევა, ამხანაგო, წესრიგითვინა...

— ამხანაგებო! როგორც ვიცით, ჯინჯიხაშვილი ერთერთი კერძო მოიჯარადრეთაგანია, ჩვენს ფაბრიკაში... საბჭოთა კონსტიტუციით ხმაურთმეული, ამიტომ კანონიერი იქნება, თუ მას აქაც არ მიეცემა სიტყვის უფლება...

— ამხანაგებო! მე კინჰს ვუყური...

— ძირს!

არ გვინდა! — ახმაურდა მთელი დარბაზი,

ილაპარაკოს ჯინჯიხაშვილმაც.. — წამოიძახეს ვიღაცამ დარბაზიდან, მაგრამ.

— არ გვინდა!

— ძირს! — ისმოდა ისევ ის ხმები...

— მაშასადამე, სიტყვასა გიორგი სულაკაური იტყვის...

— უკანონობაა და ძალმომრეობა, — დაიკნავლა ისევ იმავე ხმამ და მთელმა დარბაზმა მგლის მზერა ესროლა მიულიმა...

განმეორება ვეღარ გაბედა..

ტრიბუნაზე კი ერთმანეთს სცვლიდნენ ორატორები...

წათამამებულნი სალი თეატრკრიტიკის ლოზუნგით, მუშები მოურიდებლად მიუთითებდენ ყველა მტკივნეულ საკითხზე და აღუთქვამდენ ახალ სამუშაოთა უფროსს აქტიურ დახმარებას ჩაბარდულ საქმეთა გამოსწორებაში.

**პანტელეიმონ ჩხიკვაძე**

# ნატახტარი

მცხეთის მიდამოებში, არაგვის ნაპირებზე გაცხოველებული მუშაობაა: შენდება ხიდი არაგვზე, ითხრება გვირაბები, რამოდენიმე ასეული მუშა, როგორც თხუნელები, შესევიან მიწას და გაჭყავთ არხები. მზადდება ახალი წყალსადენი, რომელიც თბილისს მოაწოდებს ცივ, ანკარა წყალს ნატახტარის წყაროებიდან.

თბილისს არა ჰყოფნის ის წყალი, რომელსაც აწვდის მას მტკვრიდან ავჭალის ძველი წყალსადენი, თვით წყალიც არ არის კარგი ხარისხის. დიდი ხანია დაიბადა საკითხი ნატახტარის წყაროების გამოყენების შესახებ თბილისისათვის. ნატახტარის პროექტის გარდა იყო კიდევ სხვა პროექტები, გაიმარჯვა ნატახტარმა, როგორც ყველაზე მისაღებმა და იაფმა პროექტმა და მუშაობაც დაიწყო.

ნატახტარის წყაროები ძლიერია, ისინი იძლევიან 32 მილიონ ვედრო წყალს, წყალსადენი მიაწოდებს ქალაქს და ახლო-მახლო სოფლებს 7.200.000 ვედრო წყალს. თითო სულზე დღეღამეში მოვა 12 ვედრო წყალი, რაც ხელს შეუწყობს სანიტარულ - ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებას

წინასწარი სამუშაოები წყალსადენის გაყვანად დამთავრებულია

ვათვალიერებთ სამუშაოებს. ყველაფერი კეთდება საფუძვლიანად, მკვიდროთ. უკვე მზად არის 24 ჰაბურლილი. ეხლა ეწყობა მი-



ნატახტარის წყალსადენი.

ლები ახალი ჰაბურღილისათვის. წყალი ნატახტარის წყაროებიდან წამოვა პირველად ბეტონის მილებით. მილები გაყვანილია 23 კილომეტრის მანძილზე, ძიმდინარე წლის მილები მიყვანილი ქნება ზაჰესამდე და შემდეგ უკვე თბილისამდე. საინტერესოა გვირაბი არაგვის ახლო. ეს არის ნახევარკილომეტრიანი პირველი გვირაბი. არაგვის მარცხენა ნაპირზე ითხრება მეორე გვირაბი, რომლის სიგრძე იქნება 2 კილომეტრი.

წყალი ნატახტარიდან თბილისამდე წამოვა თავისით დენით, აქ არ იქნება საჭირო საქაჩავების დადგმა, როგორც არის ეხლა ავჭალის წყალსადენში. მხოლოდ წყალის უმნიშვნელო ნაწილის — 30 პროც.-ის გადაცემა იწარმოებს საქაჩავებით. ეს საქაჩავები დაიდგმება ნატახტარში მომავალი წლისათვის.

ექსპერტების ნატახტარში მომუშავე ინჟინერ-ტეხნიკოსებს. გვაინტერესებს ერთი გარემოება — შესაძლებელია თუ არა წყლის რაოდენობის შემცირება, ან წყაროების დაშრობა. ზოგიერთი ამხანაგები გამოსთქვამდნენ შიშს ამის ირგვლივ. მაგრამ მუხრანის და ხილკანის ველის გეოლოგიურმა შესწავლამ დაამტკიცა, რომ წყაროს წყალის რაოდენობა არ შემცირდება, ლაპარაკი წყაროების დაშრობაზე ზედმეტია. თბილისი უზრუნველყოფილი იქნება საუკეთესო წყლით, რომელსაც იგი მიიღებს ერთი წლის განმავლობაში.

**ზ.ი.**

# სალამი ბაქოს თურქულ მუშათა თეატრს!

## მისი გასტროლების გამო თბილისში.

ეროვნული ბიბლიოთეკა









— თურქული სცენის ისტორია იწყება 1873 წლიდან, მაგრამ ნამდვილი თურქული თეატრის ისტორია უნდა ვიანგარიშოთ მხოლოდ აზერბეიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

რევოლიუციამდე არსებობდნენ მოყვარულთა თეატრალური წრეები, რომელთაც სდევნიდა ჯერ მეფის მთავრობა, ხოლო შემდეგ მუსავატელები. როგორც მასიური სანახაობა, არსებობდა მხოლოდ „შახსეი-ვახსეი".

ბაქოს თურქული მუშათა თეატრი ჩაისახა 1921 წელს, ბაქოს პროლეტარიატის მოთხოვნილებით, რომელმაც გადასწყვიტა შეექმნა თავისი საკუთარი კლასობრივი თეატრი. თეატრს პირველ ხანებში ერქვა „სახელმწიფო თურქული სატირ-აგიტი". ბაქოს მუშების კულტურულ ზრდასთან ერთად იზრდებოდა თეატრიც. თეატრმა შეიცვალა სახელი და დაირქვა თურქული მუშურ-გლეხური თეატრი, ხოლო 1927 წლიდან უკანასკნელი გადადის ძსხვილ დრამატიულ თეატრის გზაზე. სამოქალაქო ომის წლებში თეატრი აწარმოებს საბჭოთა ხელისუფლების მხატვრულ აგიტაციას, ებრძვის სიბნელეს, უვიცობას, ატარებს ანტირელიგიურ კამპანიებს, ებრძვის ფანატიკოს სამღვდელოებას, ნაციონალ-შოვინიზმს და სხვ. სოციალისტურ მშენებლობის წლებში თეატრმა ასახა ამ უდიდესი მშენებლობის პათოსი, გამოააშკარავა მტრების მანვებლობა და მშრომელთა ენტუზიაზმი. ის გახდა ნამდვილ მასიური თეატრ დ.

თეატრი თავის წარმოდგენებს მართავდა აგრეთვე რაიონებშიაც, რითაც შესაძლებლობას აძლევდა მშრომელ გლეხობას და პროფკავშირის წევრებს გასცნობოდენ თეატრის მიღწევებს. თეატრმა დიდი სიყვარული მოიპოვა აზერბეიჯანის მშრომელთა შორის.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში თეატრმა ახალგაზრდობიდან მოამზადა და შექმნა მსახიობთა მტკიცე კოლექტივი, რომელიც დიდ მხატვრულ ძალას წარმოადგენს, მუშაობაში ჩააბა პირველი თურქი-ქალები (აზიზა-ხანუმ, სონა-ხანუმ), შექმნა რევოლიუციონური რეპერტუარი. დიდი მუშაობა ჩატარდა აგრეთვე ფორმათა ძიების დარგში და ამ მხრივ თეატრმა ბევრი რამ ახლის ჩვენება შესძლო.

თეატრი ჩამოვიდა თბილისში, რათა აჩვენოს მას თავისი მიღწევები საბჭოთა ხელისუფლების 10 წლის არსებობის განმავლობაში. მის სურვილს შეადგენს აგრეთვე მტკიცე კულტურული კავშირის გაბმა ამიერკავკასიის მოძმე ერებს შორის და დაეხმაროს მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საქმეს.

თბილისის მშრომელები მეტად გულთბილად შეხვდნენ მოძმე თეატრს. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო ნაციონალური მშვიდობიანობის შექმნა ამიერ-კავკასიაში და შესაძლებლობა მისცა მასებს განევითარებიათ თავიანთი კულტურა.

— დო.

ზევიდან ქვეით მაკეტი—„მაკი ქერიმ" I მოქ თეატრის დირექტორი და სამხატვრო ნაწილის გამგე — ეფენდიევი. გერაიბეილი — ლეონიდის როლში („სიგნალი"). აკივატ ხანუმ. მაკეტი „ინდოეთის ასული" — I მოქ. მთავრეჟის·რი — დამსახურებული მსახიობი ივანოვი. ფატმა ხანუმ — სურუჯეის როლში „ინდოეთის ასული". მაგფურა ხანუმ — „ინგა". აზიზა ხანუმ. სეიფი ქერიმის როლში (ინგა). მაკეტი „ჯანჯურ სამედ". კიაზიმ-ზია „ჯანჯურ სამედის" როლში.

# ლიტერატურული შენიშვნები

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარულ მწერლობის წინსვლა დღეს პრაქტიკისათვის არ არის საკმაო. ასეთია კარნახი გარეშე ძალთა ობიექტიური ვითარებისა. მეოცე საუკუნის მანძილზე მხატვრული შემოქმედების სფეროში პროლეტარული ლიტერატურა მთავარი ძალაა. მუშათა კლასი იდეური ჰეგემონია მახლობელ ხანში უნდა გავრცელდეს ცხოვრების ისეთ რთულ და სპეციფიურ ფრონტზე, როგორიცაა ლიტერატურა.

ჰეგემონიისათვის ბრძოლა ეს არის ძირითადი პრინციპი, რომლითაც ისაზღვრება პროლეტარულ მწერლობის შემოქმედებითი მეთოდები. ამ საკითხზე დღეს ძლიერ დიდი კამათია გაჩაღებული, რომლის მიზანს შეადგენს ახალი ამოცანების განსაზღვრა. ჩვენი აზრით **პროლეტარულ მწერლობის მუშაობის ძირითადი მასალა ჩვენი ეპოქის საჭირბოროტო პოლიტიკურ ასპარეზზე მდებარეობს.** მასალა, რომელიც თავის მხრივ ისაზღვრება მწერლის მსოფლმხედველობით, იმავე დროს განსაზღვრულ ფარგლებში აქცევს ფორმალურ პრინციპებს. ერთი სიტყვით თემატიური ორიენტაცია ეს ერთგვარი ფუნქციაა სოციალურ დაკვეთისა. სოციალურ დაკვეთის მეტად დროული და აქტუალური ლოზუნგი პირველ რიგში აყენებს გეგმიანი მუშაობის აუცილებლობას. ამ საკითხთანაა დაკავშირებული ლიტერატურულ კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროება. თანამედროვეობის წინაშე წამოჭრილა ძველი სტილიურობის, ზეშთაგონების, რომანტიულ ილუზიების და სხვა ამგვარი ხარისხის თეორიები, რომელიც თავის მხრივ მჭიდროთ შეკავშირებული იყო იმდროინდელ სოციალ-პოლიტიკურ გამოვლენებთან.

პროლეტარულ მწერლობის მუშაობის ძირითადი მეთოდი უნდა იყოს დიალექტიური მატერიალიზმი. „თანამედროვე თეორია განვითარებისა, რომლის ნაწილს ისტორიის ჩვენი ახსნა წარმოადგენს, მტკიცე საფუძველს მონოლიტ მატერიალიზმში პოულობს და ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ მეცნიერული სოციალიზმის მამამთავრები... როცა **ეხუმრებოდნენ მატერიალიზმს,** არამედ შეუპოვრად იცავდნენ იმ სფეროში, რომელშიც მანამდე იდეალიზმის საიმედო სიმაგრეებს წარმოადგენდნენ". (გ. ვ. პლეხანოვი), ეს თვალსაზრისი უნდა გავრცელდეს ლიტერატურულ მეთოდოლოგიის და კრიტიკ, მისი პრაქტიკის—მხატვრული კრიტიკის—მიმართ, რომელშიც ახალი გზების ჩვენების საშუალებით უნდა შესძლოს ჩამოაშოროს ახალ ხელოვნების მისტიკის ყოველგვარი ნაშთები. პროლეტარულ მკითხველის აზვირთებულ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად არა კმარა იდეური გაჯანსაღება, საჭიროა აგრეთვე თემატიურ-ფორმალური რევოლუცია.

რა გადამახინჯებების წინააღმდეგ გვიხდება ჩვენ დღეს ბრძოლა? პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ თვით ანალიზისა და ფსიქოლოგიზმის ხაზი იმჟამად ჩავარდა გამოუვალ ჩიხში. გლადკოვის აზრით, ეს პლატფორმა ძლიერ ახლო სდგას მეტაფიზიკასთან, ეს უთუოდ მართალია. ლიბედინსკის შემოქმედებითი მეთოდი ძალზე გადაიხარა წარსულისაკენ და ამიტომ მოხდა, რომ მისმა უკანასკნელმა რომანმა („Рождение героя") სასტიკი მარცხი განიცადა. ავტორმა ვერ დასძლია ბოლშევიკის მოცემის ამოცანა, ამაში მას ხელი შეუშალა წინასწარ აღებულ არასწორმა მეთოდმა. ამიტომ მოხდა, რომ მთავარი გმირი შერიხეგი გამოპრანჭული ბოლშევიკის მაგიერ სენტის ინტერ-პროკურორის წააგავს, გოგოლინი—განსაკუთრებულ დიალოგის ჩინოსანს, ყოლოიდთა ჟანდარმის როტმისტრს, ხოლო რომანის ცენტრი მთლიანად უახლოვდება ბეურჟუაზ. ბოისკაუტიზმს (ა. ზეკი), ამ ერთ რკალში აქცევს ფ. გლადკოვისა და ა. ბურჟუაზიულ ბოისკაუტიზმს (ა. ზეკი), ამ რიგად აქ არ მოსჩანს ბოლშევიკის დახატვა. ფსიქოლოგიზმის პრაქტიკა იმჟამად დეგრადაციას განიცდის. ამ პლატფორმის კონტრარგუმენტაციას იძლევა ჩვენი კომუნისტური ეპოქის სინამდვილე. ფორმალური უკანდახევის ტალღა პირველ რიგში ფსიქოლოგიზმის სახით ეხეთქება ახალ ლიტერატურას.

ამავე საკითხთანაა დაკავშირებული კლასიკებისაგან სწავლა, „ახალგაზრდა ბოლშევიკის" მესამე ნომერში ერთი ამხანაგი ფრიად „ორიგინალურ" დებულებებს აყენებს. იგი ერთ რკალში აქცევს ფ. გლადკოვისა და ა. ფადეევის მუშაობას. ეს არაა სწორი. მისი აზრით ეს ორი მწერალი ერთნაირად სწავლობენ კლასიკებისაგან, ა. ფადეევს ტოლსტოის მოწაფედ სთვლის და ეს მიაჩნია ნორმალურ მოვლენად. ჩვენ ვფიქრობთ, რომ [illegible] ლოგიურად არაა დავალებული კლასიკებისაგან. გლადკოვი ხელოსანია, ოსტატი, ხოლო ფადეევი ფორმის სფეროში ეპიგონია. ეპიგონობით არავითარი არ გაკეთდება. ამ ამხ. აზრით, ა. ფადეევი ტოლსტოის მოწაფეა, მაგრამ რა არის აქ სახარბიელო? რა მოსაზრებით აძლევს ფორმის სფეროში ტოლსტოის რევოლუციონერობის რეკომენდაციას? ლ. ტოლსტოის რეტროგრადული იდეოლოგია ბუნებრივად შეეფარდებოდა მის მხატვრულ ხერხებს. ჩვენ რა საკვირველია, არ უარვყოფთ საერთოდ კლასიკურ მემკვიდრეობას, მაგრამ ჩვენი გზები უკან არ მიდიან, წარსულისაკენ არ იღუნებიან, ხოლო ბურჟუაზიის კლასიკები მომავალში არ მოსჩანან.

ქართულ პროლეტარულ მწერლობაში დადებით მოვლენას წარმოადგენს ბ. ჩხეიძის „დღეები". ამ მოთხრობაში მრავალი რამაა საყურადღებო. ავტორმა უთუოდ დაარღვია ზოგიერთი სტანილური ტენდენციათ; ის იმჟამად ანტიფსიქოლოგიზმის გზით ვითარდება, ამაშია მისი მიღწევაც. ალექსანდრე ყაზბეგმა მოგვცა დახასიათება ოსების, როგორც მეურნე ხალხის, უმაქნისი ჰორიზონტი და უხასიათო ხალხის. ამაში იყო ნაციონალიზმის ზოგიერთი ელემენტები. ეს შეხედულება ვერ დაარღვია მიხ. ჯავახიშვილმა, რომელმაც თავის რომანში („ჯაყოს ხიზნები") მოგვცა ოსის ტიპი, როგორც ზედმეტი ადამიანის. ბ. ჩხეიძის „დღეებში", მოქმედების ცენტრი მთლიანად შებრუნებულია, აქ ნაჩვენებია ოსეთის მშრომელი ხალხი, მისი ბრძოლა, ჯინაყიშვილის გმირული ტრაგედია და ფინალში ამბოხებული ერობის ცხენოსნები. მოთხრობას აქვს თავისი ნაკლოვანებანი, მაგრამ მისი გამარჯვებაც უდავოა. რატომ მოხდა ეს? იმიტომ, რომ ჩხეიძე მუშაობს სწორი მეთოდით. ფაქტების ბლოკი და ფსიქოლოგიური კომბინაციები აქ მთლიანად მოხსნილია, სამაგიეროთ სიმახვილით გამოცემულია საჭირბოროტო ფონზე ოსეთის აჯანყებული მშრომელი გლეხობა მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ.

აქ ჩვენ გვინდა კიდევ ერთ საკითხს შევეხოთ. უკანასკნელ დროს პროლეტარულ ლიტერატურაში ადგილი აქვს ერთ უარყოფით ტენდენციას. ეს საშიშროება გამოიხატება პოლიტიკისაგან ჩამოშორებაში, უფრო კონკრეტულად რომ ვსთქვათ, ზოგიერთი მწერალი **ფაბრიკა-ქარხნების ცხოვრებას, საჭირბოროტო ფრონტს იღებს არა ძირითად თემატიურ მასალად, არამედ როგორც ერთგვარ ფონს სასიყვარულო ინტრიგების, პირადი შეხლა-შემოხლის ფაბულარული ხვეულების ამოსახსნელად.** ამხ. ლ. ავერბახი ამბობდა თავის ერთ მოხსენების დროს, რომ ჩვენში მუშური თემატიკის საკითხები ერთგვარ დამახინჯებას განიცდის. ამ მხრივ ფაქტიურ მასალად იგი მიუთითებდა მ. პლატოშკინის რომანზე („В дороге"), რომელშიაც სიყვარულს ძლიერ დიდი ყურადღება აქვს მიქცეული, ხოლო ფაბრიკის ცხოვრება მოცემულია, როგორც ხსენებულ ფსიქოლოგიურ ამბავის ილუსტრაცია. ნიკოლაევი, კონდრატიევი, კარპოვი, გრომოვი და სხვა მუშები აქ ასახულია როგორც ერთეული მოვლენები და არა როგორც განსაზღვრულ საწარმოო ორგანიზმის წევრები. ასეთი ტენდენციები ჩვენშიაც არის. კ. ლორთქიფანიძის „პირველი დედა"-ს მთავარი მომენტი არის ვაიონის სქესობრივი ტრაგედია და ქარხნის საწარმოო ცხოვრება. ეს მოვლენა განსაკუთრებით მჟღავნდება აგრეთვე ელ. პოლუმორდვინოვის უკანასკნელ ლიტერატურულ ფაქტებშიც.

ე. პოლუმორდვინოვს განსაკუთრებით ეხერხება ახალგაზრდობის ფიზიოლოგიური სურათების მოცემა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ის სქესისას წინააღმდეგობას ვერ იკავებს და გადადის ფსიქოლოგიზმისაკენ. ამის ნიმუშში არის მოთხრობაში „გადაგვარებული". ავტორის ხშირად თხრობითი ცენტრი გადააქვს ტიპის ბიოლოგიურ აღწერაზე. **„ქუჩის ბიჭებს** აცვიათ გულღია ხალათები", „წამოხტა ერთი **შავხუჭუჭა თმით,** ჩავარდნილი **შავივე თვალებით",** „ტანსწორი და ლამაზადაკეცილი ქალი", „მკვეთრებმან სახეს საყმაწვილოდ ამოტყველებს ოდნავ ბუსუსმოდებული ზედათოთი" და სხვა.

ამ მოთხრობაში მთავარ ადგილს იკავებს (ეგი დასრულებული არაა) სიყვარულის ამბები. სოფლიური - ცვქარხნო სკოლის საწარმოო ცხოვრება მირაჟივით მოსჩანს ამ მოვლენის უკან. ამ რიგათ თემატიური ცენტრი გადატანილია ფსიქოლოგიური მოვლენებისაკენ. ეს ნაკლი არა მარტო პოლუმორდვინოვს ახასიათებს, იგი ერთგვარად მასიური მოვლენაა. ეს შტამპი დღეს აუცილებლად უნდა [illegible].

ახალი თემებს გვიკარნახებს ახალი პროცესები. „წარმოების სოციალისტური სექტორი, განუწყვეტლივ ფართოვდება, უდიდესი ნაბიჯით მიიწევს წინ და ყველაზე გაბედულ ადამიანთა ვარაუდებს სჭარბობს, შეიქმნა შრომის ახალი ფორმაცია, დაკავშირებული ბრიგადებით" („პრავდა"). ასეთ დროს სანტიმენტალიზმისათვის ადგილი აღარ რჩება. ამ დროს როდესაც ოქტომბრის ამბოხებული მასები ელექტრონით "ქერქამდებულ მაღაროებით შემოფარგლულ საკონცენტრაციო ბანაკებში იღუპებიან, ასეთ დროს დიდი სეზონობაა იქნება მწვადით დახელოვნებულ საკუთარ ლუდით თავბრუდახვეული ახალგაზრდობის რომანტიულ თავგადასავალის. ასეთ დროს მკითხველი ისევ ლერმონტოვს და ყაზბეგს გადაშლის. საჭიროა დავფიქრდეთ ამ ამბავზე.

დროა ამ სანტიმენტალიზმის ტენდენციების, რომანტიულ სიამის, კლასიციზმის ეპიგონობის, გილიოზიცეტური სწავლის და „ფსიქოლოგიზმის" საფლავზე გაიზარდოს ახალი პოეზია, სოციალისტური ლექსი, ფაბულოვანი პოეზია და ჩვენი ეპოქის დიდი ეპიური ტილოები". აქედან გამომდინარეობს ჩვენ, როდესაც ვამტკიცებთ, რომ პროლეტმწერლობა დღეს ყოველგვარი გადატრიალების წინაშე სდგას. მისი განვითარების გზები, რომელთაც მეცნიერული დასაბუთება აუცილებელი და საჭიროა, მტკიცეთ მიიმართებიან დიალექტიკურ მატერიალიზმის ხაზით. ამიტომ უნდა განადგურდეს წარსულის ძველი „ესტეტიზმის" ნაშთები: ამხ. პოლუმორდვინოვის მიერ იდეალიზაციაქმნილი თვისებები ახალგაზრდობისა უნდა შეიცვალოს წესიერი პროლეტარულ შრომის კულტურით.

ყველა ეს **თმა აჩეჩილების, ხუჭუჭთმიანების და თვალება ბიჭების ტრადიცია** ძველი დროიდან მოდის. მას ჰყავს თავისი წინაპრები, რომელთათვის ცხოვრების მთავარი მიზანი იყო ეპიკურეიზმი, „დამისხი — დამალევინე", და ამის შემდეგ პესიმისტური „ერთ იყოს მეტყვარის..." ლილინი. პროლეტ-მწერლობა არა თუ მისდევს წარსულის ამ ნაშთებს, არამედ ყოველ ნაბიჯზე ეწინააღმდეგება.

ქართული პროლეტ-მწერლობის მთელი რიგი წარმომადგენლები ეხებიან ისეთ თემებს, როგორიცაა დამკვრელი ბრიგადები, ხუთწლიანი გეგმა და სხვა. ამ მხრივ აღსანიშნავია საყურადღებო პოემები, ლექსები, რომანები. ა. ჩხიკვაძის რომანი („საროსელები") იძლევა შეიდგენს იმისა, რომ რეკონსტრუქციის პერიოდის თემატიკა თანდათან აძევებს ხავსმოკიდებულ ნეიტრალიზმს.

დასკვნისათვის უნდა ვსთქვათ, რომ საწარმოო ფრონტი უნდა იყოს არა მარტო ფონი, ილუსტრაცია, არამედ მთავარი თემა, გარეშე ამისა შეუძლებელია წინსვლა ჰეგემონიის მაღლობებისაკენ.

გ. ნატროშვილი.

# როდის აღარ იქნება ინგლისი კუნძულად

## გვირაბის გათხრა ლამანშის ქვეშ

### საკითხი გვირაბის შესახებ გადაწყვეტილია

ინგლისში დიდი მღელვარებაა: ნისლით მოცული ალბიონი, რომელსაც ევროპისაგან სრუტე აშორებს, მალე აღარ იქნება კუნძული.

მთავრობის დავალებით მომუშავე სპეციალურმა კომისიამ მოიწონა გვირაბის აგება ლამანშის ქვეშ, რომელი გვირაბიც შეაერთებს ინგლისს ევროპის კონტინენტთან.

ასეთი გვირაბის აგების საკითხი ინგლისს პირველად არ აღელვებს, ჯერ კიდევ 1800 წ. სათანადო წინადადებით მიმართა მას ფრანგმა ინჟინერმა მატიემ, მაგრამ ვერ შეურჩია მომენტი, რადგან სწორედ მაშინ ნაპოლეონის საფრანგეთი ეძებდა საშუალებას გადაესხა თავისი დესანტი ინგლისის ნაპირებზე. წინადადება უარყოფილ იქნა ინგლისის პარლამენტის მიერ და მხოლოდ სამი მეოთხედი საუკუნის შემდეგ დაიწყეს ისევ ლაპარაკი ინგლისისა და ევროპის შეერთების შესახებ. 1875 წელს სპეციალური კომისიაც კი მოეწყო ამ პროექტის განსახორციელებლად, როდესაც „ჩანელ ტონელ კამპანი“-მ ინგლისის მთავრობისაგან თანხმობა მიიღო, მან შეისყიდა მიწის ნაკვეთები ლამანშის ნაპირებზე, აწარმოვა ზღვის ფსკერის გეოლოგიური გამოკვლევა და მოლაპარაკება დაიწყო საფრანგეთის მწარმოებლებთან საჭირო კაპიტალის შესაქმნელად. მაგრამ მალე ინგლისის პარლამენტმა შეაწყვეტინა ეს ინიციატივა, ის ეყრდნობოდა სამხედრო საშიშროებას.

მას შემდეგ ეს საკითხი აღიძრა 11-ჯერ და ყოველთვის (უკანასკნელად 1929 წ.!) პარლამენტში მარცხს განიცდიდა ისევ იმ სამხედრო საშიშროების მოსაზრებებით, დაბოლოს განსაკუთრებულმა კომისიამ განიხილა საკითხი ძირითადად და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გვირაბის აგება ეკონომიურად მიზანშეწონილი იქნება.

### რას მიაცემს ინგლისს გვირაბი?

როგორც აქ მოყვანილი სქემიდან სჩანს გვირაბის გეგმა, დამუშავებული კომისიის მიერ, ისახავს მის აგებას დუვრისა და კალეს ნავთსადგურებს შორის, სრუტეს ყველაზე ვიწრო ადგილზე. მისი სიგრძე იქნება 57 კილომეტრი. გვირაბის ნაწილი გაჰყვება ნაპირს. გვირაბი შესდგება ორი დამოუკიდებელი გვირაბისაგან დიამეტრით 5,65 მეტრი (გათვალისწინებული ექსპლოატაციისათვის) და ერთი დამხმარისაგან დიამეტრით 3,04 მეტრი, რომელიც იქნება ვენტილაციისათვის. მშენებლობის საერთო ღირებულება განსაზღვრულია 30 მილ. სტერლინგით (300 მილ. მან.). მთავარი გვირაბები ისე მოეწყობა, რომ იქ გაყვანილი იქნება რკინის გზა (ელექტრონის ენერგიით), რომელიც გვირაბის გამოსავლებთან შეუერთდება საფრანგეთის და ინგლისის გზებს.




### კონსერვატიული ლედი და ჯენტლმენები წინააღმდეგი არიან

რა თქმა უნდა, ამ „რევოლუციონურმა“ მდგომარეობამ — როგორც მას ინგლისის პრესა უწოდებს — გამოიწვია აღელვება იმ წრეებში, რომლებიც დაინტერესებული არიან მოძველებული წესების დაცვით. აქ არიან წვრილი ფერმერები, რომლებსაც ეშინიათ, რომ გვირაბით ათი წუთის მგზავრობა დააშორებს მათ მიტროპოლიურ უბნებს მიაწოდონ ლონდონს რძის პროდუქტები, ბოსტნეული და სხ. რადგან ასეთები ახლა იაფად შემოვა საფრანგეთიდან. აქ არიან აგრეთვე გემების კომპანიების მეპატრონეები, რომლებიც მხოლოდ იმითი არსებობენ, რომ სრუტეზე გადაჰყავთ მგზავრები და გადააქვთ ბარგი, ხოლო გვირაბის აგების შემდეგ სავსებით დაილუპებიან.

მათი პროტესტები, რა თქმა უნდა, შელამაზებულია „მაღალი მოსაზრებებით“ ინგლისის უშიშროების შესახებ და სხვ. კომერციული ინტერესები კარგად არის შენახული „ძველი ტრადიციების“ სამოსელში. ლედი ბიბლიით ხელში და მის დარაჯებული ჯენტლმენი ჩიბუხით და „მორნინგ პოსტ“-ით აღჭურვილნი „წმინდა მამების“ ქადაგებით, რომლებიც გუშინ ანტისამეფოთა გალანძღვების ემსახურებოდნენ, ხოლო დღეს ხმა აღიმაღლეს „ეშმაკურ გამოგონებებზე“, უკვე ხმაურს სტეხენ ახალ წესების შემოღების წინააღმდეგ, რომელიც არღვევს „ძველი, მხიარული ინგლისის“ ტრადიციებს.

### ეკონომიკა — ყველაზე უწინ

მაგრამ ლეიბორისტული მთავრობა, როგორც სჩანს, არ ეთანხმება ასეთ არგუმენტებს. მას, მართალია, ჯერ არ გადაუცია საკითხი განსახილველად „იმპერიის თავდაცვის კომიტეტისათვის“, მაგრამ ეკონომიური თვალსაზრისით იგი მისთვის ნათელია. გვირაბი შეამცირებს ინგლისში გადასვლის ხანგრძლივობას 2 ნახ. საათიდან 10 წუთამდე, აღარ იქნება შეფერხება ქარიშხალის დროს და ტვირთის გადატანაც უფრო ადვილი იქნება. გვირაბი შვიდი წლის განმავლობაში (ეს დრო დასჭირდება მის აგებას) სამუშაოს მისცემს რამდენიმე ათას უმუშევარს. დაბოლოს ის შეკვეთებს მისცემს ქარხნებს და ფაბრიკებს, რომლებიც უქმად დგანან, საერთოდ გააცხოველებს ეკონომიურ ცხოვრებას და ხელს შეუწყობს ტურიზმს ამერიკიდან.

ეკონომიური კრიზისის კლანჭებში მოქცეულ მთავრობისათვის ეს ყველაზე უფრო საჭიროა, ვიდრე ის რომ ინგლისში გაუწყრონ „ძველ კეთილ ინგლისს“, როგორც მოუცალ კუნძულს.

თ—ი.



ბორჩალოს გზაზე ქვის სამტვრევი მანქანა ი. გლისის ფირმა „რატფილდი“. თბილისის აღმასკომს გაჰყავს ნაქვითები გზა ბორჩალოს მიმართულებით. ახალი მანქანა ოთხი მუშით და ერთი მემანქანით რვა საათში აკეთებს სამ კუბიკურ საჟენს. მანქანას ამოძრავებს ელექტრონის ძალა.



# კულტურული კავშირი

(საქართველოს მე-2-რე სახელმწიფო დრამის გასტროლები უკრაინაში.)

ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ეროვნება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაერთიანდა, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურადაც.

ცხადია, ამ გაერთიანებას უნდა მოყოლოდა კულტურული დაკავშირებაც, რაც აქამდე ჯერ-ჯერობით არ მოხდა. საბჭოთა ხელისუფლებამ და ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ ფართო გასაქანი მისცა ყველა ეროვნებას — განავითარონ და გააძლიერონ თავიანთი კულტურა ინტერნაციონალისტური შინაარსით და ნაციონალური ფორმით. თვითეულ რესპუბლიკაში განვითარდა ლიტერატურა, თეატრი, მხატვრობა, კინო და ხელოვნების სხვა დარგები. მხოლოდ არ იყო სხვადასხვა ეროვნებათა კულტურის დაახლოება, ერთიმეორეთის გაცნობა და კულტურულ ძალების გაცვლა.

წელს ამ მხრივ გადაიდგა რამოდენიმე ნაბიჯი და აქ უსათუოდ აღსანიშნავია პირველი ნაბიჯი, რომელიც საქართველოს მეორე სახელმწიფო თეატრმა გადადგა და გაარღვია ნაციონალური კარჩაკეტილობის ფარგლები. დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ ქართული თეატრი, ახალი ქართული თეატრი წარმოიშვა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

**ორი წლის განმავლობაში კ. მარჯანიშვილმა შექმნა ძლიერი, კოლექტიური ერთსულოვნებით აღვსილი თეატრი, რომელსაც შეუძლიან თამამად კონკურენცია გაუწიოს ისეთ დიდ თეატრებს, როგორიც არიან რუსეთში ხამხატური, მეიერხოლდის, საკამერო და სხვ.** (ცხადია, რომ ასეთი თეატრის გასტროლებს საბჭოთა კავშირის ცენტრებში აქვს მეტად დიდი კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობა. ჯერ ერთი შეიცვლება ის აზრი, თუ საბჭოთა ხელისუფლების დროს, როგორ გაიზარდა და განვითარდა ეროვნული თეატრი და მეორეც — მოძმე რესპუბლიკებს აძლევს მუშაობის ხალისს, რათა თავიანთი ეროვნული თეატრები უფრო მეტის ენერგიით განავითარონ.

პირველი გასტროლები კ. მარჯანიშვილის თეატრისა იყო უკრაინაში.

⁂

უკრაინის სატახტო ქალაქი ხარკოვი დიდი ზეიმით შეხვდა ქართულ დრამის მე-2 სახელმწიფო თეატრს. ყველა უკრაინული გაზეთები გამოვიდნენ ქართული არშიებით და წარწერებით: **„გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს ხელოვნების მუშაკებს“.**

ხარკოვის სადგური თეატრის ჩამოსვლისათვის მორთული იყო. ბაქანზე თავმოყრილი ხალხი, სიმებიანი ორკესტრი, დელეგაციები ყველა თეატრებიდან, მწერალთა და კულტურულ საზოგადოებიდან, სამეცნიერო აკადემიიდან. მთელი შემადგენლობა უკრაინის დრამატიულ თეატრის „ბერეზილის“ მისი გამოჩენილი ხელმძღვანელის ლეს კურბასის მეთაურობით. ურთიერთ მისალმებანი, საზეიმო შეხვედრა და ხარკოვის თეატრი დიდი ხალისით ინაწილებს სტუმრებს თავიანთი ხელოვნების საჩვენებლად, სპეციალურ შეხვედრას აწყობს თეატრი „ბერეზილ“, რომლის მეთაური ლეს კურბასის როლს ადარებენ მარჯანიშვილის როლს, ეროვნულ თეატრის შექმნაში. გაზეთები ათავსებენ ორივე რეჟისორის სურათებს წარწერით: „თეატრალურ ცეხის დამკვრელები“, სადაც ორივენი ცოცხით სწმენდენ ძველ ნაგავს თეატრიდან და სხვა.

12 აპრილს ოფიციალურად დაიწყო გასტროლები. თეატრი ყველა წარმოდგენაზე გატენილია ხალხით. მიუხედავად იმისა, რომ არავის ესმის ენა, ხშირად აწყვეტინებენ ტაშით შუა წარმოდგენის დროს, აქტიორებს, თამაში სავსებით აღწევს მაყურებლამდის. ყველა გაზეთები აღტაცებით იხსენიებენ თეატრს, როგორც დიდ კულტურულ ძალას, რომელიც სრულებით ორიგინალურ ფორმებს ეძიებს და თავის მხატვრული და აქტიორული ღირსებით ერთ უდიდეს თეატრთაგანს წარმოადგენს საკავშირო მასშტაბით.

გაზ. „პროლეტარი“ ასე ახასიათებს თეატრს. **„ახალგაზრდა ქუთაისის თეატრს, დიდი ხელოვანის კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით, დამსახურებული სიამაყით შეუძლიან აჩვენოს თავისი წარმოდგენები საბჭოთა კავშირის რომელ ცენტრშიაც გინდათ. თეატრი ეხება ყოველ მუშაობაში თავის ჟანრს, ტრაგედიას, კომედიას, პანტომიმას, ცდის ამით თავის აქტიორებს და საშუალებას აძლევს მაყურებელს დასტკბეს თეატრის ყოველმხრივი სიმდიდრით.**

„ამ მრავალ - მხრივობაში არის ერთ-ერთი ნიშანდობლივი თვისება, „კულტურულობის“ ჩვენი სტუმარი თეატრის და მისი დიდი შესაძლებლობის. პირველი ორი წარმოდგენის მიხედვით ჩვენ ვფიქრობთ, რომ („ჰოპლა“ და „როგორ“) თეატრის ძირითად სტილს შეადგენს პირობითი რეალიზმი, რომელსაც თეატრი ხმარობს არა როგორც გაქვავებულ დაკანონებულ ფორმას, არამედ ცვალებადს ყოველ წარმოდგენის ორგანიული სტრუქტურის მიხედვით. მესამე ნიშანდობლივი თვისებაა ამ თეატრის დიდი კულტურიზმის — აქტიორების შემადგენლობა. ჩვენში თეატრს მოუხდა და[illegible]. **თამაში ისეთი აუდიტორიის წინაშე, რომელსაც ქართული ენა არ ესმის, ის ნიშნავს უდიდეს აქტიორულ დატვირთვას. მაყურებელი ყურადღებას არ აქცევს სიტყვებს და ერთი წუთით არ სტოვებს ყურადღებიდან აქტიორის თამაშს, მიმიკას, ჟესტს, ინტონაციას და ითხოვს, რომ აქტიორმა ასეთი „მუნჯური“ საშუალებით დაუსურათოს მას ტიპი.** მოსკოვში შარშან აღტაცებულნი იყვნენ იაპონელების თეატრის „კაბუკის“ მსახიობების თამაშის ამ მანერით, ჩვენმა სტუმრებმა ქუთაისიდან დაამტკიცეს, რომ მათ სავსებით დაუძლევიათ ეს მძიმე ოსტატობა. მათ თამაშში იშვიათი უბრალოება და სიცხოველეა. იგი მოკლებულია რაიმე ხაზგასმულობას და პათეტიურობას და ამ მაღალი ღირსებით დაჯილდოვებულნი არიან ყველა აქტიორები. მეორე ხე ღირსებას ჩვენი სტუმრებისას შეადგენს პიესის შინაგანი არსის შეგრძნობა და მისი ჩვენება დიდი მხატვრული გამომეტყველებით. ნუ ეძიებთ ამ თეატრში ბრჭყვიალა ძვირფასეულობას და მონუმენტალობას. ამათ დადგმაში მეფობს უბრალოება, მაგრამ უბრალოება არა ფანტაზიის სიღარიბის, არამედ ნამდვილი ხელოვნების, რომელსაც ეუცხოება იაფ-ფასიანი და მყვირალა ეფექტები. მაშინაც კი, როდესაც თეატრი ძველ ხერხებს ხმარობს, ჩვენი სტუმრები, როგორღაც ახერხებენ „გააკეთილშობილონ“ ისინი თავისი ნაზი და საუცხოო ოსტატობით. როგორ არის უკვე საერთო გაცვეთილი თეატრში ეგრედწოდებული „ჩინური ჩრდილები“, მაგრამ იღებს რა იმავე ხერხს მხატვარი ე. ახვლედიანი პიესა „როგორ“-ში, რომელიც მთლიანად ამ „ჩრდილებზეა“ აშენებული, იგი თქვენში პირდაპირ დაუვიწყარ შთაბეჭდილებას სტოვებს.

**ამიტომ არის, რომ აუდიტორია, რომელსაც ენა არ ესმის, ასე ხშირად აწყვეტინებს ტაშით შუა წარმოდგენაში, აღტაცებული რეჟისორის გამოგონებით“.**

გაზეთი „რაბოტნიჩა გაზეტა“ თავის რეცენზიაში „ურიელ აკოსტა“-ს შესახებ სწერს: „ვის შეუძლიან აღელდეს დღეს მეცნიერ აკოსტას აღშფოთებით, მით რომ ესა თუ ის დოგმა ამოაგდეს თალმუდიდან. დღეს როდესაც ანტირელიგიური ბრძოლა ესოდენ მძაფრია, ჩვენში—„ურიელ აკოსტა“ თვით ებრაულ თეატრების რეპერტუარიდანაც კი გამოირიცხა. ამ უბრალო მელოდრამამ უკვე მოსჭამა თავისი დრო. მით უფრო დიდია ხელოვნება თეატრის, რომ ეს გაცვეთილი მელოდრამა დიდი ტრაგედიის სიმაღლემდის აზწია“. შემდეგ აღწერს რა შესანიშნავ მიღწევებს რეჟისორისა, საუცხოვო გაფორმებას წარმოდგენისას მხატვარ ოცხელის მიერ, ავტორი დასძენს **„მსახიობთა ანსამბლმა კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა მარჯანიშვილის დიდი თეატრალური დისციპლინა. კვლავ ბრწყინვალედ დაიპყრეს მაყურებლები უნიჭიერესმა უშანგი ჩხეიძემ და საუცხოვო მსახიობმა ვერიკო ანჯაფარიძემ.**

მეორე რეცენზენტი გაზეთ „ხარკოვის პროლეტარიდან“ სწერს: „რას წარმოადგენს დღეს ხარკოვის ურიელ აკოსტა — თეატრალურ მუზეუმის ექსპონატს და მით არის დიდი ჩვენი თეატრი — სტუმარი, რომ მან არც მუზეუმის „მტვერი(?)“. შემდეგ არჩევს რა დაწვრილებით [illegible]ცეპციას, მიზანსცენებს, მხატვრის გაფორმებას, გაზეთი დასძენს: **„მთლიანად შესანიშნავი დაუვიწყარი წარმოდგენა, რომელიც დიდხანს დარჩება მეხსიერებაში ხარკოველებს ისევე, როგორც ვერასოდეს ვერ დავივიწყებთ უშანგი ჩხეიძეს და ვერიკო ანჯაფარიძეს“.** პიესა „როგორ“-ში გაზეთები განსაკუთრებით აღნიშნავენ, დიდ რეჟისორულ მიღწევებს და კინოს ორგანიულ შეთანხმებას მოქმედებასთან. რაც ყველა ჯერ ხმარებულ ხერხთა შორის სხვა რეჟისორების მიერ. რეჟისორ მარჯანიშვილს განსაკუთრებული ოსტატობით დაუძლევია. ყველანი ერთხმად იწონებენ მხატვარ ე. ახვლედიანის მუშაობას.

თეატრმა მოაწყო სპეციალური გამოფენა თეატრში მომუშავე მხატვრებისა, რომლის ჩვენება „რაბოტნიჩა გაზეთის“ მოთხოვნით გადატანილ იქნა მუშათა კლუბებში.

ნაცვლად განზრახული ექვსი წარმოდგენისა თეატრს მოუხდა ათი წარმოდგენის ჩვენება და მთელი ეს ხანი ხარკოვის კულტურულ და მშრომელ წრეებისათვის გადაიქცა ორ მოძმე რესპუბლიკის ძმური კავშირის დემონსტრაციის დიდ ზეიმად.

ბ. მ.

# ზოოპარკი—თბილისის სიმდიდრეა







ამ ერთი წლის წინად კიდევ იმაზე იყო ლაპარაკი, თუ როგორ უნდა მოეწყოთ თბილისში ზოოლოგიური პარკი, სად შეეძინათ საჭირო ცხოველები, რამდენი თანხა იქნებოდა ამისათვის საჭირო და სხვა. ლაპარაკი იყო, კამათიც სწარმოებდა, მაგრამ ზოოპარკის მოსაწყობი ნაბიჯები კი არ იდგმებოდა.

გასული შემოდგომიდან ზოოპარკის მშენებლობაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა. თბილისის საოლქო აღმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ თავისი მტკიცე ხელი მიჰყო ზოოპარკის მშენებლობას და დღეს მნახველს გაუკვირდება, თუ როგორ მოასწრეს ასე მოკლე დროში ისე დიდი პარკის მოწყობა, როგორიც თბილისის ზოოლოგიური პარკია. იანვრისათვის ზოოპარკში მოწყობილი იყო სამეურნეო ეზო, სადაც მოთავსებული იყვნენ საქართველოს ფაუნის თითქმის ყველა საინტერესო წარმომადგენლები. დღეს კი ზოოპარკის ცხოველთა სამყარო ისე გადიდებულია, რომ მათი დატევა სამეურნეო ეზოში უკვე შეუძლებელი ხდება.

ზოოპარკისათვის მიზომილ ტერიტორიაზე გაძლიერებული აღმშენებლობა მიმდინარეობს. შენდება ლომების, ვეფხების და სხვა ტროპიკული მხეცების მოსათავსებელი კეიბერთელა შენობა, ცალკე შენდება სამაიმუნე, შენობა პოლიარული მხეცებისათვის, აუზები ზღვის ლომებისა და სხვა ცხოველებისათვის და სხვ. 1-ლი ივნისიდან ზოოპარკში უკვე დაიწყება ახალი მობინადრეების — ვეფხების ლომების, მაიმუნების, ზღვის ცხოველების და ქვეწარმავლების ტრანსპორტის მიღება. ამ რიცხვებისათვის უკვე მზად უნდა იყვეს ყველა შენობები, თორემ ისე ცუდი პერსპექტივის წინაშე დადგება ზოოპარკის ადმინისტრაცია. რომელსაც არ ეცოდინება თუ სად წაიყვანოს თავისი მრისხანე ხიზნები.

მომავალი წლისათვის ზოოპარკის ხელმძღვანელებს და თბილისის საოლქო აღმასკომის კომუნალურ განყოფილებას დასახული აქვთ ფართო პერსპექტივები. სულ. მომავალ წელს ზოოპარკის გასამშვენიერებლად და მის საბოლოო მოსაწყობად განზრახულია 603.000 მანეთის დახარჯვა. აქედან უკვე არსებული ცხოველების შენახვაზე წლის განმავლობაში დაიხარჯება მხოლოდ 44.400 მანეთი, ხოლო დანარჩენი თანხა—420.000 მანეთი— მოხმარდება აფრიკის და ამიერკავკასიის ხელოვნურ ველთა მოწყობას, სამაიმუნე აფრიკული დებრის გაშენებას, წყალსადენის გაყვანას, ახალი ვოლიერების მოწყობას და სხ. მოწყობილი იქნება აგრეთვე დასასვენებელი კუთხეები ზოოპარკის მნახველთათვის, ზოგიერთი აფრიკული მტაცებლებისათვის საზაფხულო და საზამთრო სადგომები და სხ.

—ჩვენ ეხლა უკვე ვიქნებოდით მოწყობილი,—ამბობს ზოოპარკის დირექტორი დაწინაურებული მუშა ამხ. ე. კაციტაძე, — მაგრამ საამშენებლო მასალების შოვნა გვიჭირს და ეს აბრკოლებს საქმეს. მართალია, ისტორიას ჯერ არ ახსოვს აღმშენებლობის ისეთი მასშტაბი, როგორისაც ადგილი აქვს დღეს, ჩვენს სინამდვილეში. შენდება ახალი ქარხნები, ფაბრიკები, საცხოვრებელი ბინები, გაყავთ ახალი გზები, ახალი ქუჩები, ბაღები, შენდება ახალი ცხოვრება. მთელი ფრონტით სოციალიზმისაკენ!

ზოოპარკის მშენებლობისათვის არ იყო საკმაო მასალები, მაგრამ საქმე ამით მაინც არ დაბრკოლებულა. ამხ. კ. ოდილავაძის ენერგიული დახმარებით თბილისის აღმასკომს აღმოაჩნდა ძველი ხე-ტყისა და სხვა საამშენებლო მასალის საკმაო მარაგი, რომელიც გადაეცა ზოოპარკს და ამგვარად საქმე დაძლეულ იქნა.

**დამირ.**

# ქრონიკა სურათებში



განჯა. ზეთსახდელ-საპნის ქარხანა. სალინტერო ცეხი, რომელმაც პირველობა აიღო სოც. შეჯიბრებაში



ბაქო. „ოქტომბრის რევოლიუციის" სახელობის ქარხანა



მაუდის ახალი ქარხანა განჯაში



განჯის საფეიქრო ქარხნის მუშების ახალი სახლები



იშვიათი მოვლენა

ქართლში ერთ-ერთ სოფელში დაუკლავთ ქათამი, რომელსაც აღმოჩენია ორი გული.
სურათზე: ერთი ქათმის ორი გული



ბაქო. სამთამადნო მუშათა სახლის აგება



წყალთა მაშველმა საზოგადოებამ ვერაზე გახსნა საზაფხულო საბანაო პუნქტი, ფართო აუზით, სადაც რამდენიმე ახეულ კაცს შეუძლიან იბანაოს.

# გამოვიდა და იყიდება

ყოველთვიური პოლიტიკურ-ეკონომიური ჟურნალი

# „ბოლშევიკი"

საქ. კომპარტ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის ორგანო

## ხელისმოწერა მიიღება

### თბილისში:

„კომუნისტი"-ს გამომცემლობის მთავარ კანტორაში (რუსთ. პრ. № 34)

ფოსტის ცენტრალურ საგაზეთო ბიუროში.
„კომუნისტი"-ს გამომცემლობის რწმუნებულებთან, რომელნიც აღჭურვილნი არიან სათანადო მოწმობებით და ქვითარებით.

### პროვინციაში:

ფოსტის უწყების ყველა დაწესებულებებში.
„კომუნისტი"-ს გამომცემლობის რწმუნებულებთან, რომელნიც აღჭურვილნი არიან სათანადო მოწმობებით და რკინის გზის კიოსკებში.

### ჟურნალის ფასი:

| | |
|---|---|
| 1930 წლის ბოლომდე | — 2 მ. 50 კაპ. |
| 6 თვით . . . . . . | — 1 მ. 50 კაპ. |
| 3 თვით . . . . . . | — 75 კაპ. |
| 1 თვით . . . . . . | — 25 კაპ. |

ცალკე ნომერი ყველგან 30 კაპ.

„კომუნუსტი"-ს გამომცემლობა.


მთავლ. № 1011. ტირაჟი 5700. საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა „კოლექტივი" გამ. „კომუნისტი"-ს გამომცემლობა.